სსიპ გორის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ჟორჟოლიანი

ევროკავშირის როლი საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: **დავით გეფერიძე**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

2019

წელი

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყნის მთავარ მიზანს, რომელიც აქვს საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული დღემდე. **ნაშრომის მიზანია** შეგვესწავლა საქართველოს მიერ განვლილი გზა ევროპულ სივრცეში მოსახვედრად და აგრეთვე ისიც თუ რა როლი აქვს ევროპულ არჩევანს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში.

აღნიშნული **საკვლევი თემა** მნიშვნელოვანია საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის იმიტომ, რომ ევროპული გზა ჩვენი არჩევანია. ჩატარებული **კვლევის ამოცანაა,** იმის ჩვენება თუ რა შედეგების მომტანი იქნება ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოსთვის. **კვლევის საგანია** 1996-2015 წლების საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების განხილვა, მათ საფუძველზე თანამედროვე ურთიერთობების წარმოჩენა და ანალიზი. კვლევის შედეგად მტკიცდება, რომ საქართველომ მასზე დაკისრებული ვალდებულებები პირნათლად შეასრულოს, რათა მოხდეს მისი გაწევრიანება ევროკავშირში. **კვლევის სიახლეს** წარმოადგენს იმ მეთოდის აღმოჩენა, რომლის საშუალებითაც ნათელი გახდება საქართველოს ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგები. ამასთანავე ამ მეთოდის მეშვეობით სამომავლოდ ასოცირების შესახებ შეთანხმების შედეგად დაკისრებული ვალდებულებების სიღრმისეული გაანალიზება.

How Georgian's modern international relationships are influenced by The European Union

Annotation

Nino Zhorzholiani

This master thesis is about declined to Georgien's important aim since it declined the Soviet Union.This thesis has the goal to study Georgien's long way from its independency to todey and also what part European influence played inGeorgien's international relationship.This is a very important step for georgien people,because it's their choice to be a member of the European Union.

The goal of the thesis is to show what result the membership with the European Union will bring for Georgia.The objective of the goal is to analyse the arrangement treaty from 1996 to 2015 and to understand the modern relationship between them.The Investigation verifies Georgia should do its obligations to get the opportunity to be a member of the European Union. This thesis aims to detect the new metod of this relationship between Georgia and the European Union and also detects that our country is able to realize its own future commitments by this method.

სარჩევი

ანოტაცია.....2

შესავალი.....5

თავი I თანამედროვე ევროკავშირის შესახებ და მისი ჩამოყალიბების ისტორიული მიმოხილვა.....6

1.1 ევროკავშირის დაფუძნებისა და გაფართოების პოლიტიკა.....6

1.2 ევროკავშირის ინსტიტუტები.....7

1.3 ევროკავშირის განვითარების ეტაპები.....18

1.4 სამეზობლო პოლიტიკა და ევროპის სამართლის წყაროები.....21

1.5 ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა, მისი მიზნები და ამოცანები.....26

1.6 ევროკავშირის გათანაბრების პოლიტიკა.....32

1.7 ევროკავშირის გამოცდილება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.....34

1.8 ევროკავშირის გლობალური როლი.....36

თავი II. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამედროვე ურთიერთობების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები.....42

2.1 საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვა (1996-2015) წლები 42

2.2 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე 49

2.3 საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების არსი და მნიშვნელობა.....54

დასკვნა.....57

გამოყენებული ლიტერატურა.....59

შესავალი

დაარსებიდან დღემდე ევროპის კონტინენტმა მრავალი ომი იხილა და გადაიტანა, რამაც მას მილიარდობით დაღუპული მოქალაქე, განადგურებული ეკონომიკა და მყიფე უსაფრთხოება მოუტანა. ამ და სხვა პროცესებმა დასაბამი მისცა კომპლექსურ პროცესს, რომელშიც ეროვნული ინტერესები კოლექტიურმა ევროპულმა ინტერესებმა გადაფარა და შეიქმნა დღევანდელი ევროკავშირი. ევროპული ინტეგრაცია, რომლის მსგავსი საყოველთაო აღიარება ჯერჯერობით არცერთ დიდ თეორიას არ მოუპოვებია. ევროპული ინტეგრაცია, როგორც იდეა, ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარებასთან ერთად ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობასაც უზრუნველყოფდა. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოსთვის სწორედ ასეთ გაერთიანებაში გაწევრიანება წარმოადგენს მნიშვნელოვან მიზანს. კერძოდ განავითაროს ეკონომიკა, ჰქონდეს სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა და უსაფრთხოება. კვლევის მიზანი გახლავთ ევროკავშირის უფრო მეტად გაცნობა, რათა კიდევ უფრო ნათელი გახდეს ეს დიდი რეგიონული გაერთიანება რა ტიპის წარმონაქმნია და განვითარების რა ტენდენციები ახასიათებს მას. განვიხილოთ რამდენად შეუწყობს ხელს ევროკავშირი, როგორც მსოფლიოს გლობალური მოთამაშე, გაზარდოს საქართველოს როლი საერთაშორისო პოლიტიკაში მაშინ, როცა საქართველოს დღემდე აქვს დაუსრულებელი კონფლიქტური სიტუაცია რუსეთის ფედერაციასთან, ეს საქართველოს არასაიმედო ქვეყნად აქცევს თუნდაც ინვესტიციების განხორციელების კუთხით, რაც თავის მხრივ ეკონომიკის განვითარებასაც აფერხებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

რაც შეეხება ბიბლიოგრაფიას აღნიშნული საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე იგი საკმაოდ დიდია, როგორც ქართულ, ინგლისურ და სხვა ევროპულ ენაზე. საკმაოა ინტერნეტ რესურსებიც აღნიშნულ თემაზე. მნიშვნელოვანია ნაშრომები და ხელშეკრულებები ევროკავშირზე და მის ურთიერთობებზე საქართველოსთან დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. ვეცადეთ, არსებული რესურსი ამომწურავად გამოგვეყენებინა თემის მრავალფეროვნებისა და ინფორმაციულობისთვის.

თავი I. თანამედროვე ევროკავშირის შესახებ და მისი ჩამოყალიბების ისტორიული მიმოხილვა.

1.1 ევროკავშირის დაფუძნებისა და გაფართოების პოლიტიკა

ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში (შვეიცარია) დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა ისაუბრა, თუმცა მაშინ ამ იდეას განვითარება არ მოჰყოლია. უკვე 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანგი პოლიტიკოსის ჟან მონეს ინიციატივა გაახმოვანა, დასავლეთ ევროპის ნახშირისა და ფოლადის საბადოების გაერთიანების შესახებ, სწორედ აღნიშნული წელი და ინიციატივა უნდა ჩაითვალოს ევროპული ინტეგრაციის საწყისად.

1951 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში შევიდა 6 სახელმწიფო-ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდების სამეფო. გადაწყდა შექმნილიყო ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება“ [1], რომელიც ამ ქვეყნებში უხელმძღვანელებდა ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

1955 წელს იტალიაში, ქალაქ მესინაში ინტეგრაციის პროცესის გაგრძელებაზე შეთანხმდა ექვსივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, რამაც საფუძველი დაუდო „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას“[2]. მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, შეთანხმება რაც გულისხმობდა საერთო ბაზრის შექმნას ამას საბაჟო კავშირის შექნაც უნდა მოჰყოლოდა. ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმება, საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების. ამ ყველაფერს ითვალისწინებდა საერთო ბაზარი.

„ევრატომი“ იყო ატომური ენერგიის გაერთიანება მის მიზანს ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა წარმოადგენდა. ის 1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით შეუერთდა ნახშირისა და ფოლადის გაერთიანებას და ევროპის

[1] დაწვრ.იხ. http://infocenter.gov.ge/euinfo-history
[2] იქვე

ეკონომიკურ გაერთიანებას, რომელსაც ჯერ „ევროპული გაერთიანებები“,[3] ხოლო 1992 წელს „ევროკავშირი“ ეწოდა-მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე. ევროკავშირმა ცივი ომისა და საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე გაფართოების 7 ტალღა გაიარა.

პირველი გაფართოება 1960-1974 წლებში მიმდინარეობდა და დიდი ბრიტანეთის, დანიის და ისლანდიის ევროკავშირის წევრობით დასრულდა.

მეორე და მესამე გაფართოებები ეკუთვნის საბერძნეთს, ესპანეთსა და პორტუგალიას 1980-1986 წლებში.

მეოთხე გაფართოების შემდეგ ფინეთი, შვედეთი და ავსტრია შეუერთდა ევროკავშირს 1995 წელს.

მეხუთე გაფართოება იყო 2004 წელს, რომლის მიზანი იყო საბჭოთა მმართველობისგან განთავისუფლებული ქვეყნებისთვის ხელშეწყობა განვითრებასა და წინსვლაში. ამ პერიოდს უკავშირდება 10 ქვეყნის შეერთება: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, მალტა და კვიპროსის ბერძნული ნაწილი.

მას მეექვსე და მეშვიდე გაფართოებისას, 2008 წელს რუმინეთი და ბულგარეთი შეუერთდნენ, ხოლო 2013 წელს ხორვატია გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

1.2 ევროკავშირის ინსტიტუტები.

ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია **ევროპის პარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო, ევროკომისია, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, აუდიტორთა სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი.**

ევროპის პარლამენტი

[3]დაწვრ.იხ. http://infocenter.gov.ge/euinfo-history/#1

ევროკავშირში ერთადერთი პირდაპირი გზით არჩეული ინსტიტუტია და მას 1979 წლიდან ევროკავშირის მოქალაქეები 5 წელიწადში ერთხელ ირჩევენ. მისი ძირითადი ფუნქციებია საკანონმდებლო საქმიანობა, დემოკრატიული კონტროლი და ბიუჯეტის დამტკიცება. ორდინარული და სპეციალური პროცედურები კი არის საკანონმდებლო ფუნქციის შესასრულებლად არსებული ძირითიდი პროცედურები.

1. ორდინარული პროცედურის თანახმად, საკანონმდებლო ფუნქციას, საკანონმდებლო აქტებსა და გადაწყვეტილებებს, ევროპარლამენტი ევროკავშირის საბჭოსთან ერთდ მიიღებს.

2. სპეციალური პროცედურები არის საკონსულტაციო პროცედურა, როცა აქტის მიღებისას საჭიროა პარლამენტის თანხმობა, მაშინ, როდესაც ევროპარლამენტს მხოლოდ პოზიციის გამოხატვა შეუძლია.

ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, 2014 წლიდან სულ 751 წევრი შედის ევროპარლამენტის შემადგენლობაში, 750 ევროპარლამენტარი და მისი პრეზიდენტი. წარმომადგენლობის განსაზღვრა ხდება დეგრესიული პრინციპით, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოების პროპორციულად წარმოდგენას დიდი სახელმწიფოების პატარა სახელმწიფოებთან შედარებით. ევროპარლამენტის წევრები ქმნიან ფრაქციებს პოლიტიკურ შეხედულებების მიხედვით. 2014 წლის არჩევნების მიხედვით პოლიტიკური ჯგუფები შემდეგი სახისაა:

- ევროპის სახალხო პარტია (221 წევრი);
- სოციალისტების და დემოკრატების პროგრესული ალიანსი(191 წევრი);
- ევროპულ კონსერვატორთა და რეფორმისტთა ჯგუფი(70 წევრი);
- ევროპის ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი (67 წევრი);
- ევროპელ გაერთიანებულ მემარცხენეთა და მწვანეთა მემარცხენე ჯგუფი(52 წევრი);
- ევროპელი ალიანსის ჯგუფი/ევროპული თავისუფალი ალაინსი(50 წევრი);

- თავისუფლებისა და პირდაპირი დემოკრატიის ევროპა(48 წევრი);
- თავისუფალი წევრები(52 წევრი);

ამა წლის 26 მაისს, ევროკავშირის ტერიტორიაზე ევროპარლამენტის არჩევნები დასრულდა, არჩევნებმა აჩვენა, რომ ორმა მთავარმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ევროპარლამენტში „ევროპის სახალხო პარტიამ“ (EPP) და „სოციალ-დემოკრატებმა“ (S&D) უმრავლესობა დაკარგეს. 751 ადგილიან პარლამენტში 179 მანდატი ექნება „ევროპის სახალხო პარტიას“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წინა მოწვევის პარლამენტში მას 216 ადგილი ჰქონდა. „სოციალ-დემოკრატების ჯგუფს“ 150 მანდატი, ხოლო წინა მოწვევის პარლამენტში 191 ადგილი ჰქონდათ. სრულად არჩევნების შედეგები შემდეგნაირია:

„ევროპის სახალხო პარტია PEP	179 მანდატი
სოციალ-დემოკრატები S&D	150 მანდატი
ლიბერალები ALDE	107 მანდატი
მწვანეები GREEN	70 მანდატი
მემარჯვენე ნაციონალისტები ENF	58 მანდატი
კონსერვატორები ECR	58 მანდატი
პოპულისტებიEFD	56 მანდატი
მემარცხენეები CUE/NCL	38 მანდატი
დამოუკიდებელი კანდიდატები	7 მანდატი
სხვა	28 მანდატი

ქვეყნების მიხედვით მანდატების პირველი სამეული ასეთია:

- გერმანია 96 მანდატი
- საფრანგეთი 74 მანდატი

- დიდი ბრიტანეთი და იტალია 73-73 მანდატი[4]

ევროკავშირის ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოა ევროკავშირის საბჭო, იგი შედგება ყველა წევრი ქვეყნის ეროვნულ მთავრობათა მინისტრებისგან. მას

აქვს, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი უფლებამოსილებები. ექვსთვიანი პერიოდის მონაცვლეობით საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს სხვადასხვა წევრი სახელმწიფო. წევრი ქვეყნების მინისტრების დონეზე საბჭო იკრიბება 9 სტრუქტურული ერთეულის სახით:

1. ზოგადი საკითხების საბჭო;
2. ეკონომიკისა და ფინანსების საბჭო;
3. მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა საბჭო;
4. დასაქმების, სოციალური პოლიტიკის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა საკითხების საბჭო;
5. კონკურენციის საკითხთა საბჭო;
6. ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის საბჭო;
7. გარემოს დაცვის საბჭო;
8. სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის საბჭო;
9. ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის საბჭო;

ევროპული საბჭო

საბჭო წარმოადგენს ევროპული კავშირის ოფიციალურ ინსტიტუტს[5]. ევროპული საბჭო შედგება წევრი ქვეყნების მთავრობის ან სახელმწიფოს მეთაურისგან, საბჭოს პრეზიდენტისა და კომისიის პრეზიდენტისგან. იგი განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკასა და პრიორიტეტებს, აყალიბებს ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, წარმოადგენს და ამტკიცებს კანდიდატებს ევროპის ცენტრალური ბანკისა და ევროკომისიის გარკვეულ მაღალ თანამდებობებზე.

[4] დაწვრ.იხ. http://www.ghn.ge/news/226846-evroparlamentis-archevnebi-2019-shedegebi
[5] დაწვრ.იხ.http://infocenter.gov.ge/euinfo-institutions/#1

ევროპული საბჭო იკრიბება 6 თვეში 2-ჯერ პრეზიდენტის მოწვევით. გარკვეულ შემთხვევებში სპეციალური მოწვევითაც. პრეზიდენტი ინიშნება ორნახევარი წლის ვადით, ირჩევს ევროპული საბჭო ხმათ უმრავლესობით. ევროპის საბჭო ბრიუსელში იკრიბება. საბჭოს მინისტრები წარმოადგენენ ეროვნულ ინტერესს. მათი ინტერესები კი განსხვავდება საბჭოს მიერ განსახილველი თემატიკიდან, აქედან გამომდინარე საბჭოს შემადგენლობაც იცვლება თემატიკური განხილვების დროს. საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხებიდან გამომდინარე იცვლებიან სახელმწიფო მინისტრებიც.

სამართლებრივად არსებობს მხოლოდ ერთი საბჭო, თუმცა პოლიტიკური თვალსაზრისით საბჭო იყოფა 10 კონფიგურაციად:

1. ზოგადი საკითხები;
2. საგარეო ურთიერთობები;
3. ეკონომიკური და ფინანსური საკითხები;
4. მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები;
5. დასაქმება, სოციალური საკითხები, ჯანდაცვა და მომხმარებელთა საქმეები;
6. კონკურენცია, შიდა ბაზარი, მრეწველობა და კვლევები;
7. ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია და ენერგეტიკა;
8. სოფლის მეურნეობა და თევზჭერა;
9. გარემოს დაცვა;
10. განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა და სპორტი;

საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ბრიუსელში. შეხვედრები ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველი ეხება საკანონმდებლო, ხოლო მეორე არასაკანონმდებლო აქტივობებს. საზოგადოებისთვის ღიაა საბჭოს საკანონმდებლო აქტივობები. საბჭო გადაწყვეტილებებს ორი ფორმით იღებს კერძოდ, კენჭისყრა უმრავლესობით და კენჭისყრა სრული შემადგენლობით. ინსტიტუციური ნორმა, რომელიც შესაძლოა იყოს უმრავლესობით ან კვალიფიციური უმრავლესობით გამოხატული უმრავლესობით კენჭისყრას წარმოადგენს. კენჭისყრა სრული შემადგენლობით მოითხოვს მინისტრების სრული შემადგენლობის თანხმობს. ამგვარ გადაწყვეტას მოითხოვს საგარეო ურთიერთობები და საგადასახადო

კანონმდებლობასთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები. მარტივი უმრავლესობა კი ეხება შიდა საპროცედურო და ინსტიტუციურ საკითხებს. სხვა დანარჩენი საკითხები მოითხოვს კვალიფიციურ უმრავლესობას.

ევროკავშირის საბჭო

რაც შეეხება ევროკავშირის საბჭოს ისიც სამთავრობათაშორისია მსგავსად ევროპის საბჭოსი. მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სახელმწიფოების მინისტრები. იგი იზიარებს ევროპარლამენტთან პასუხისმგებლობას ევროკავშირის კანონებისა და ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცებაზე. მინისტრთა საბჭო კონსესუსის ან კვალიფიციური უმრავლესობის კენჭისყრის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. პრეზიდენტის პოსტს იკავებს ექვსთვიანი როტაციის წესით თითოეული წევრი სახელმწიფო, მის დეტალურ საქმიანობას კი ახორციელებენ ბრიუსელში წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლები.

ევროკომისია

ევროკომისია უმთავრესი ინსტიტუციაა და ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა. მისი შტაბბინა ბრიუსელში მდებარეობს. ის შეიმუშავებს ახალი ევროპული კანონების პროექტებს, განაგებს ევროკავშირის ფონდებსა და პროგრამებს, აკონტროლებს ევროკავშირის ხელშეკრულებებსა და კანონების შესრულების პროცესს. კომისია შედგება პრეზიდენტის, რომელსაც ირჩევს ევროკავშირის 28 მთავრობა, 7 ვიცე პრეზიდენტის და 20 კომისრისაგან, ყველა მათგანი 5 წლის ვადით ირჩევა. მისი კომისრები ისევე, როგორც საკადრო მუშაკებიც ინდივიდუალური სახელმწიფოს მუშაკები არიან და მათ უნდა გაატარონ პოლიტიკა, რომელიც ევროკავშირის ინტერესებშია და არა საკუთარი სახელმწიფოს ინტერესები. კომისართა კოლეგია ესაა ჯგუფი, რომელიც 28 კომისრისგან შედგება და სათავეში უდგას ევროკომისიას. თითოეულ სახელმწიფოს ერთი კომისარი ჰყავს ევროკომისიაში, თითოეული მათგანი ერთ კონკრეტულ სფეროზეა პასუხისმგებელი. ყოველი ვადის დაწყებამდე კომისრებს ურიგდებათ პოლიტიკური პორტფელები, რომელიც პრეზიდენტის პრეროგატივაა. მხედველობაში მიიღება თითოეული კომისრის შესაძლებლობები, პოლიტიკური უნარ-ჩვევები და გამოცდილება. ვადის ამოწურვის შემდგომ ხშირია გადანაცვლება და ახალი

კანდიდატურების დანიშვნაც. მეორე ვადით კომისრები იშვიათად ინიშნებიან, იმავე პორტფელის მოპოვებაზე კი საუბარიც არ შეიძლება. პორტფელთა შორის გარკვეული იერარქიაა. მათგან ყველაზე ძლიერია საბიუჯეტო, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და საერთო ბაზრის პორტფელები. საერთო ჯამში კოლეგიის კომისართა პორტფელები ასე გამოიყურება:

- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება;
- ბიუჯეტი;
- კლიმატი;
- კონკურენცია;
- ციფრული დღის წესრიგი;
- ტრანსპორტი;
- დაბეგვრა და საბაჟო კავშირი;
- ვაჭრობა;
- განვითარება;
- ეკონომიკური და მონეტარული საკითხები;
- განათლება,კულტურა,მულტილინგვიზმი და ახალგაზრდობა;
- დასაქმება, სოციალური საკითხები და ინკლუზია;
- ეკოლოგია;
- ენერგეტიკა;
- გაფართოება;
- ჯანმრთელობის დაცვა და მომხმარებლის პოლიტიკა;
- საშინაო საკითხები;
- ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- საშინაო საკითხები;
- მრეწველობა და მეწარმეობა;
- ინსტიტუციათაშორისი ურთიერთობები და ადმინისტრაცია;
- შიდა ბაზარი და მომსახურება ;
- საზღვაო საქმეები და თევზჭერა;

- საერთაშორისო თანამშრომლობა, ჰუმანიტარული დახმარება და კრიზისებზე რეაგირება;
- იუსტიცია, ფუნდამენტური უფლებები და მოქალაქეობა;
- პრეზიდენტი;
- რეგიონული პოლიტიკა;
- კვლევა და ინოვაცია;

ევროკავშირის პრეზიდენტი ყველაზე გავლენიანი და საჯარო ფიგურაა ევროკავშირში. კომისიის მართვასთან ერთად იგი ესწრება მსოფლიო ლიდერთა შეკრებებს. ხშირად გადამწყვეტია მისი როლი ევროპული საბჭოს სამიტებზე მიმდინარე მოლაპარაკებისას, აკეთებს საჯარო განცხადებებს კრიტიკული მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით. ამჟამად აღნიშნულ თანამდებობას იკავებს ლუქსემბურგელი ჟან-კლოდ იუნკერი. იგი ევროკომისიის მეთორმეტე პრეზიდენტია.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, რომელიც დაარსდა 1952 წელს და განთავსებულია ლუქსემბურგში[6], არის ევროკავშირის ინსტიტუცია და მოიცავს მთელ სასამართლო სისტემას. იგი აერთიანებს თავის სისტემაში მართლმსაჯულების სასამართლოს, საერთო სასამართლოსა და სპეციალურ სასამართლოებს.

მართლმსაჯულების სასამართლოს მოსამართლეთა კორპუსი დაკომპლექტებულია წევრი სახელმწიფოებით, კერძოდ თითო წევრი ქვეყნიდან არის თითო მოსამართლე, ისინი ინიშნებიან არა ცალმხრივად წევრი სახელმწიფოების მიერ, არამედ წევრი სახელმწიფოებისა და შესაბამისი დამოუკიდებელი მრჩეველთა საბჭოს მიერ. მოსამართლეები ინიშნებიან 6 წლის ვადით, ასევე შესაძლებელია მათი მეორე ვადით დანიშვნაც. სასამართლოს, როგორც ოფიციალურ ინსტიტუტს ჰყავს თავისი პრეზიდენტი.

საერთო სასამართლო შედგება თითო წევრი სახელმწიფოდან თითო წევრი მოსამართლისგან. იგი შედგება 28 მოსამართლისგან. საერთო სასამართლოშიც

[6] იხ.თებიძე ჯ. „ევროპული კავშირის ინსტიტუციური სამართალი“ თბ.2018 გვ.128

შესაძლებელია მოსამართლეების მეორე ვადით დანიშვნა და მართლმსაჯულების სასამართლოს მსგავსად ჰყავთ პრეზიდენტი. საერთო სასამართლო იკრიბება 3 და 5 მოსამართლეთა პალატაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში სრული შემადგენლობითაც. მარტივ შემთხვევებში კი საქმეს სასამართლოში ერთი მოსამართლე განიხილავს. სპეციალურ სასამართლოებში კონკრეტული ტიპის საკითხები იხილება, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში. იგი შედგება 7 მოსამართლისგან, რომლებიც ინიშნებიან საბჭოს მიერ 6 წლის ვადით. ტრიბუნალი კი სხდება 3 მოსამართლისგან შემდგარ პალატაში. შესაძლებელია საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრებაც, რასაც საპროცედურო წესებისა და ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევა უნდა ედოს საფუძვლად. რაც შეეხება სასამართლო საპროცედურო ეტაპებს ისინი ორ ნაწილად იყოფა, წერილობითი და ზეპირი. მთავარი სასამართლო პროცედურა არის წერილობითი პროცედურა.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო სამოქალაქო ტრადიციებზე დგას. ევროპული შეთანხმებებით განსაზღვრულია, რომ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კანონის დაცვა და ეფექტურობა ევროპული შეთანხმებების ინტერპრეტაციისას. კანონის ინტერპრეტაციაში იგულისხმება სამართლებრივი აზრის ჩამოყალიბება იურიდიული მეთოდოლოგიის გზით. გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ნაწილში საჭიროა სასამართლომ მყარი სამართლებრივი საფუძველი შექმნას. გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის კი არის ოთხი საერთო მეთოდი, *ისტორიული, სიტყვასიტყვითი, სისტემატური, თეოლოგიური* ინტერპრეტაცია. თითოეული ეს ინტერპრეტაცია მოსამართლეს განსხვავებულ თავისუფლებას ანიჭებს გადაწყვეტილების მიღებისას.

ისტორიული ინტერპრეტაციის მიხედვით იგი ეძებს კანონის წარმომავლობასა და ისტორიულ წინაპირობებს. *სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაცია* იძლევა ტექსტის თანამედროვე გაგების საშუალებას. *სისტემატურ ინტერპრეტაციაში* კი იგულისხმება ნორმის ინტერპრეტაცია ამავე ნორმის სამართლებრივ სისტემაში ადგილმდებარეობის განსაზღვრით. ნორმის შინაარსისა და მიზნების დადგენას გულისხმობს ბოლო, *თეოლოგიური ინტერპრეტაცია.*

ევროპული შეთანხმებების საფუძველზე მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო:

- წევრი სახელმწიფოს, ინსტიტუტის, ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ წარდგენილ საქმეებზე იღებს გადაწყვეტილებებს;
- ახდენს ინსტიტუტების მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების შესაბამისობის დადგენას კავშირის კანონმდებლობასთან მიმართებით, ასევე მისი მიზანია მოახდინოს სწორი ინტერპრეტაცია ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების მოთხოვნაზე;
- შესაბამისს შემთხვევებში დადგენილი შეთანხმებებით მოქმედებს.

შეთანხმების დებულებები პირდაპირ და არაპირდაპირ სამართლებრივ ქმედებებს განასხვავებენ. საქმის პირდაპირ სასამართლოში წარდგენა ეს პირდაპირი ქმედებაა, ხოლო არაპირდაპირი ქმედება ეს მიმართვაა ეროვნული სასამართლოების მეშვეობით ინტერპრეტაციისთვის მართლმსაჯულების სასამართლოსადმი.

ევროკავშირის სასამართლო სისტემაში განიხილება შემდეგი სახის დავები:

- დავა ევროკავშირის ორგანოებს შორის;
- დავა ევროკავშირის ორგანოებსა და წევრ სახელმწიფოებს შორის;
- დავა წევრ სახელმწიფოებს შორის;
- დავა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა და ევროკავშირის ორგანოებს შორის;
- . დავა ევროკავშირსა და მის თანამშრომლებს შორის;

ევროპის აუდიტორთა სასამართლო

ევროპის აუდიტორთა სასამართლო შეიქმნა 1977 წელს [7] , მდებარეობს ლუქსემბურგში, ის ამოწმებს ევროკავშირის ფინანსებს, მისი მიზანია ევროკავშირის ფინანსური მართვის გაუმჯობესება და ანგარიშის მომზადება სახელმწიფო ფონდებიდან თანხების ხარჯვის პროცესზე. სასამართლო საკუთარ თავს ევროკავშირის „ფინანსურ სინდისს“ [8] უწოდებს. იგი ევროკავშირის ყველა ინსტიტუციის ფინანსურ აუდიტს ატარებს ყოველწლიურად და ამოწმებს, გეგმის მიხედვითაა თუ არა გაღებული

[7] დაწვრ.იხ.http://infocenter.gov.ge/euinfo-institutions/#1
[8] იხ. მაკკრომიკი ჯ. „ევროკავშირის პოლიტიკა“თბ.2016.გვ.311

დახარჯები და სრულადაა თუ არა მიღებული შემოსავლები. ანგარიში იგზავნება ევროკომისიას, მინისტრთა საბჭოსა და ევროპარლამენტს ყოველი წლის ნოემბრის ბოლოს. სასამართლოს ჰყავს თითო წევრი, ყველა წევრი ქვეყნიდან და მათ საბჭო 6 წლის ვადით ნიშნავს. პრეზიდენტს სასამართლოს წევრები ირჩევენ 3 წლის ვადით, თავისი შემადგენლობიდან.

ევროპის ცენტრალური ბანკი

ევროპის ცენტრალური ბანკი დაარსდა 1998 წელს. ის განთავსებულია ფრანკფურტში (გერმანია). ბანკის ძირითადი მიზნებია ფასების სტაბილურობა და სტაბილური ფინანსური სისტემის შენარჩუნება ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების კონტროლის გზით. ბანკის აღმასრულებელი საბჭო შედგება 6 წევრისგან და ინიშნება 8 წლის ვადით. ეს წევრები არიან პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და დამატებითი 4 წევრი. მმართველი საბჭო განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთსა და მონეტარულ პოლიტიკას ევროზონაში. ევროპის გენერალური საბჭო, ხელს უწყობს საკოორდინაციო საქმიანობასა და ევროზონაში ახალი წევრების მიღებას. ის შედგება ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული ცენტრალური ბანკის მართველებისგან. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ევროპის სავალუტო ინსტიტუტი ჩაანაცვლა და ორი ახალი საბანკო ქსელის ნაწილი გახდა.

- ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის, აქ გაერთიანებული ყველა წევრი სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკებსა და ევროპის ცენტრალურ ბანკი.
- ევროსისტემის, რომელიც ევროპულ ცენტრალურ ბანკს და ასევე ყველა იმ წევრი სახელმწიფოს ეროვნულ ბანკებს, რომელთაც ევრო მიიღეს.

რაც შეეხება ერთიან ვალუტას, მისი შემოღება დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა რაც მაასტრიხტის ხელშეკრულებით ევროგაერთიანება ახლად შექმნილი ევროკავშირის ნაწილი გახდა. 1995 წელს ევრო ეწოდა. იგი 1999 წლის 1 იანვარს შემოიღეს, მაგრამ თავდაპირველად მხოლოდ ელექტრონული ვალუტის სახით არსებობდა. ხოლო ევრომონეტები და ბანკნოტები მიმოქცევაში 2002 წლის იანვარში შემოვიდა.

1.3 ევროკავშირის განვითრების ეტაპები

ევროკავშირი ავითრებდა და დღესაც განაგრძობს მისი სტრუქტურის განვითრებას. მისი ფუძემდებლური კანონმდებლობა, რომელიც საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას, აფუძნებენ საკანონმდებლო პროცედურებსა და ძირითად უფლებამოსილებებს, წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებებია. ეს ხელშეკრულებები კი თითქმის იმავე როლს ასრულებენ, რასაც კონსტიტუცია. მისი განვითარების ეტაპები კი მოცემულია **შენგენის შეთანხმებაში, ამსტერდამის შეთანხმებაში, ნიცის შეთანხმებაში, ლისაბონის შეთანხმებასა და ერთიან ევროპულ აქტში**.

შენგენის შეთანხმების შესახებ

შენგენის შეთანხმებას ხელი მოეწერა 1985 წელს[9]. ამ შეთანხმების მიხედვით ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები შეთანხმდნენ თანდათან გაეუქმებინათ საერთო სასაზღვრო კონტროლი და ხელმომწერი წევრი ქვეყნების, სხვა წევრი ქვეყნების ან მესამე ქვეყნების მოქალაქეებისათვის შემოეღოთ გადაადგილების თვისუფლება. საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება შენგენის ზონის შიგნით, ხოლო მის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება. ასევე ქვეყნები ვალდებულები არიან განახორციელონ ერთიანი პოლიტიკა მიგრანტების მიმართ, იგი მოითხოვს საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემისა და მონაცემთა საერთო ბაზის ფუნქციონირებას. აღნიშნული ხელშეკრულება დღეისთვის 26 ქვეყანას აერთიანებს, ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას: ავსტრიას, ბელგიას, ჩეხეთის რესპუბლიკას, სლოვაკეთს, სლოვენიას, ესპანეთს, შვედეთს, დანიას, საბერძნეთს, ესტონეთს, ფინეთს, უნგრეთს, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, ლატვიას, ლიტვას, ლუქსემბურგს, მალტას, ნიდერლანდების სამეფოს, პოლონეთს, პორტუგალიას. ევროკავშირის 4 არაწევრ ევროპულ ქვეყანას: ნორვეგიას, ისლანდიას, შვეიცარიას და ლიხტენშტეინს, აგრეთვე 4 კანდიდატ ქვეყანას: ხორვატია, ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი. შენგენის ზონის წევრი ქვეყნები არ არიან დიდი ბრიტანეთი და რუმინეთი, თუმცა არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

---

[9] დაწვრ.იხ.http://infocenter.gov.ge/euinfo-structure/#1

ერთიანი ევროპული აქტის შესახებ

ერთიან ევროპულ აქტს 1986 წლის 28 თებერვალს მოაწერეს ხელი გაერთიანების წევრმა ქვეყნებმა. მისი მიხედვით ევროპული საბჭო გაერთიანების ერთ-ერთ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართო, ევროპული პარლამენტი ოფიციალურად ეწოდა საპარლამენტო ანსამბლეას, პარლამენტის როლი გააძლიერა ახალმა ნორმა შემოქმედებითმა პროცედურამ, კერძოდ თანაგადაწყვეტილების პროცედურამ, ბევრ ისეთ სფეროში, სადაც გადაწყვეტილება ერთხმად მიიღებოდა გავრცელდა ხმათა უმრავლესობის მიღების პროცედურა. დაიწყო საერთო ბაზრის საბოლოო ფაზაში შეყვანის პროცედურა და შიდა ბაზრის შესაქმნელად რეფორმების გატარება. ის გულისხმობდა არსებული ბარიერებს (კვოტები, ტარიფები) და თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეს, სადაც თავისუფლად უნდა მომხდარიყო საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილება.

მაასტრიხტის ხელშეკრულების შესახებ

მაასტრიხტის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1992 წლის 7 თებერვალს[10]. ამ ხელშეკრულებით ევროგაერთიანებები გარდაიქმნა ევროკავშირად და ეკონომიკურთან

ერთად, პოლიტიკური ასპექტიც შეიძინა. მაასტრიხტის ხელშეკრულებით დადგინდა, რომ ევროკავშირი უნდაა ეფუძნებოდეს სამ ძირითად სვეტს, ესენია:

- *პირველ სვეტში* გაერთიანდა ევროპის გაერთიანება, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება. საკითხებად კი განისაზღვრა: საბაჟო კავშირი, ერთიანი ბაზარი, სავაჭრო პოლიტიკა, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა.
- *მეორე სვეტში* შევიდა საერთო საგარეო და თვდაცვის პოლიტიკა. ის არეგულირებდა, თანამშრომლობას საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე, დახმარებას არაწევრ ქვეყნებისთვის, სამშვიდობო მისიები, ევროპის უსაფრთხოების, განიარაღებისა და თავდაცვის დაფინანსების საკითხს.

[10]დაწვრ.იხ. http://infocenter.gov.ge/euinfo-structure/#1

- და ბოლო *მესამე სვეტში* გაერთიანდა თანამშრომლობა მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეებში. ამ სვეტში შემავალი საკითხები იყო, საპოლიციო თანამშრომლობა, სასამართლო სისტემების თნამშრომლობა, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე ბრძოლა ნარკომანიის, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ.

მაასტრიხტის ხელშეკრულებით გადაწყდა ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა და იგი განხორციელდებოდა ერთიანი სავალუტო ერთეულის ევროს შემოღებით. ამისთვის შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი.

ამსტერდამის ხელშეკრულების თაობაზე

ამსტერდამის ხელშეკრულებას 1997 წელს მოეწერა ხელი. ის ეხებოდა ევროკავშირის მმართველი სისტემის „მოქნილობის"[11] გაზრდას და ,,თავისუფლების, უსაფრთხოებისა და იუსტიციის"[12]არეალის შექმნას. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი კი იყო მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობის გაღრმავება.

ნიცის შეთანხმების შესახებ

ნიცის შეთანხმება 2000 წელს შემუშავდა, ხელი 2001 წელს მოეწერა[13], ხოლო ძალაში 2003 წელსა შევიდა. მისი ძირითადი მიზანი გაფართოების ახალი ტალღისთვის ინსტიტუციური საფუძველის მომზადება იყო. ნიცის შეთანხმების ერთ-ერთი შედეგი ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მიღება გახლდათ. ეს იყო 50 პუნქტისგან შემდგარი კრებული ევროპის სამართალში ადამიანის თავისუფლების, ეკონომიკური და სოციალური უფლებების შესახებ.

ლისაბონის შეთანხმების შესახებ

ლისაბონის შეთანხმება ესაა ე.წ. ,,რეფორმების ხელშეკრულება",[14] მას 2007 წლის 13 დეკემბერს მოეწერა ხელი, ხოლო ძალაში 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა. შინაარსობრივად საკონსტიტუციო ხელშეკრულების ტექსტს შეესაბამება. იგი

[11] დაწვრ.იხ http://infocenter.gov.ge/euinfo-structure/#1
[12] იქვე
[13] http://infocenter.gov.ge/euinfo-structure/#1
[14] იქვე

ძირითადად ითვალისწინებდა ცვლილებებს ევროკავშირის ინსტიტუციურ სისტემასთან მიმართებაში. ლისაბონის ხელშეკრულების მიზანი იყო უფრო ძლიერი, ერთიანი მართველობის შექმნა ევროკავშირისთვის, ეფექტიანი საგარეო მმართველობის შექმნა და წევრ ქვეყნებს შორის გადაწყვეტილების მიღების უფრო მარტივი სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნული შეთანხმება ევროპელ მოქალაქეებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებასაც ანიჭებდა.

1.4 სამეზობლო პოლიტიკა და ევროპის სამართლის წყაროები

დოკუმენტი „გაფართოებული ევროპა-მეზობლობა: ახალი-ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობისთვ“,[15] რომელიც ევროკავშირმა 2003 წელს წარადგინა და მოიწონა ევროკავშირის საბჭომ. ევროპის საბჭომ მოიწონა ასევე ევროკომისიის მიერ შემუშავებული ,,ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია"[16]და მის საფუძველზე მოხდა სამხრეთ კავკასიის 3 ქვეყნის ჩართვა ,,ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში",[17] ის წარმოადგენს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას მისი საზღვრების სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით. მისი მიზანია მეზობელ ქვეყნებს გაუზიაროს ევროკავშირის სტაბილურობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. დაეხმაროს მათ შიდა რეფორმების განხორციელებაში, ხელი შეუწყოს მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ურთიერთდაახლოებას.

ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულია 16 ქვეყანა ესენია: ალჟირი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, საქართველო, სირია, სომხეთი, ტუნისი, უკრაინა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებასა და მჭიდრო თანამშრომლობას ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით:

- ფინანსური დახმარება;
- ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის ბაზარზე დაშვება;

---

[15] დაწვრ. იხ. http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/#1
[16] იქვე
[17] დაწვრ.იხ.http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/#1

- ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივება;
- სამეზობლო პოლიტიკის მონაწილ ქვეყნების ტექნიკური და საჯარო პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების მხარდაჭერა;

ასევე, აღსანიშნავია მრავალმხრივი თანამშრომლობა შემდეგ ფორმატებში:

- ევრო-ხმელთაშუა ზონის პარტნიორობა;
- შავი ზღვის სინერგია.

2015 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნებული ერთობლივი კომუნიკაცია ევროკომისიისა და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის მიერ ეხებოდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის საკითხს. ახალი სამეზობლო პოლიტიკის ორიენტირი სტაბილიზაციის ხელშეწყობაა მთლიანად სამეზობლოში, იგი ითვალისწინებდა თანამშრომლობის გაძლიერებას შემდეგი მიმართულებებით.

- ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ევროკავშირის საერთო ბაზარში ინტეგრაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნაში;
- ეკონომიკური მოდერნიზაცია და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა;
- დასაქმების ხელშეწყობა შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლების გზით;
- ტრანსპორტი და კავშირურთიერთობების განვითარება;
- ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კლიმატის საკითხებზე თანამშრომლობის გაძლიერება;
- უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება;
- მიგრაცია და მობილურობა;

ევროკავშირის სამართლის წყაროები

ევროკავშირის მთავარი წყარო, დამფუძნებელი შეთანხმებებია. *ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ* და *ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ*[18],

[18] იხ.თებიძე ჯ. „ევროპული კავშირის ინსტიტუციური სამართალი“თბ.2018გვ.51

ძირითადი შეთანხმებებია, მათ თანაბარი იურიდიული ლეგიტიმაცია გააჩნიათ. შეთანხმება ევროპული თანამეგობრობის შესახებ (უკვე ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების სახელწოდებით), შეთანხმება ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ (რომელიც უკვე ძალადაკარგულია) და შეთანხმება ატომური ენერგიის გაერთიანების შესახებ, რომელიც წარმოადგენდა მთავარ სამართლებრივ წყაროს 1952-1957 წლებში. ეს შეთახმებები დროთა განმავლობაში განიცდიდნენ შესწორებებს და დამატებებს სხვადასხვა შეთანხმებების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ძირეული შესწორებები გამოიწვია ერთიანმა ევროპულმა აქტმა, მაასტრიხტის, ამსტერდამის, ნიცისა და ლისაბონის შეთანხმებებმა. ძირითადი წყარო ევროპული კავშირის სამართლისთვის არსებული შეთანხმებებია.

შინაარსობრივად საგრძნობლად გაზრდილია შეთანხმებების დატვირთვა, ის თავის თავში მოიცავს სავალუტო, კულტურულ, ტურისტულ, ჰუმანიტარული დახმარების, მართლმსაჯულების, საპოლიციო თანამშრომლობისა და საგარეო ურთიერთობის პოლიტიკას.

დეკლარაციები, როგორც სამართლის წყაროები

დეკლარაციების გზით აკეთებენ რიგ დათქმებს წევრი სახელმწიფოები ხელშეკრულებებთან მიერთებამდე და ასევე აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს.

ევროკავშირის მეორეული კანონმდებლობა

უფლებამოსილების განმახორციელებელი ინსტრუმენტი, როგორც სამართლის ევროპულ სამართალში მეორადი კანონმდებლობა. დოკუმენტი, რომელსაც შემკვრელი ძალა აქვს წევრი სახელმწიფოებისთვის და რომლის აქტებიცაა, რეგულაციები, დირექტივები და გადაწყვეტილებები.

ევროკავშირის მეორადი კანონმდებლობა ქვეყნდება საკანონმდებლო მაცნეში, რომელიც არის ევროკავშირის იურიდიული ჟურნალი და დოკუმენტები იყოფა ორ კატეგორიად. კანონმდებლობა, რომელიც სავალდებულო იურიდიული აქტების რიცხვს მიეკუთვნება ,,L“ ნიშნით აღინიშნება, ხოლო შეტყობინებები, რომელთაც არ აქვთ

იურიდიული ხასიათი და ატარებენ ინფორმაციულ დატვირთვას აღინიშნებიან ,,C" ნიშნით.

კავშირის პირდაპირი კანონმდებლობა-რეგულაციები

რეგულაციები, ეს ერთნაირად სავალდებულო ძალის მქონე ზოგადი სახის საკანონმდებლო აქტებია, როგორც ინსტიტუტებისა და სააგენტოებისთვის, ასევე კავშირის მოქალაქეებისთვის. მას არ სჭირდება დამატებითი სახელმწიფო რატიფიკაცია და პირდაპირი მოქმედების ძალის მქონე აქტებია წევრ სახელმწიფოში. რეგულაციების რიგი დებულებები შესაძლოა აღსრულდეს სასამართლოს განკარგულებით ან ჰქონდეს პირდაპირი ეფექტურობის საშუალება, ის გაცილებით ვიწრო კონცეფციაა ვიდრე პირდაპირი მოქმედება. რეგულაციები წარმოადგენენ უფლება-ვალდებულებების პირდაპირ წყაროს და ისინი ამოქმედდებიან იმ თარიღის გათვალისწინებით რაც მითითებული იქნება დოკუმენტში ან ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს. რეგულაციები, როგორც პირდაპირ მოქმედი სამართლებრივი ინსტრუმენტები არის დამაკავშირებელი საშუალება კავშირის კანონმდებლობასა და ეროვნულ საკანონმდებლო იერარქიას შორის. ისინი არისსავალდებულო ხელშემკვრელი და პირდაპირ მოქმედი საშუალებები და წარმოადგენენ უფლება ვალდებულებების პირდაპირ წყაროს.

გადაწყვეტილებები, როგორც აღმასრულებელი ინსტრუმენტი

გადაწყვეტილებების იურიდიული ლეგიტიმაცია საკმაოდ მაღალია და რეგულაციების მსგავსად პირდაპირი ამოქმედების ძალა გააჩნიათ.

დირექტივები-კავშირის არაპირდაპირი კანონმდებლობა

დირექტივა უნდა იყოს ხელშემკვრელი ძალის კონკრეტული მიზნის მისაღწევად, იმ კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც მიმართავენ, მაგრამ ამასთან მან უნდა დაუტოვოს სახელმწიფოს საიმპლემენტაციო ზომების მიღების საშუალება.

საერთაშორისო შეთანხმებები

საერთაშორისო შეთანხმებები სავალდებულო ხელშემკვრელი ძალის მქონე დოკუმენტია, როგორც კავშირის ინსტიტუტებისთვის, ასევე წევრი სახელმწიფოებისთვის. აქ მოიაზრება ორი საკითხი. პირველი არის ევროკავშირის სამართლის სისტემაში ხელშემკვრელი სავალდებულო ძალის საერთაშორისო შეთანხმებები, მეორე საერთაშორისო ხელშეკრულებები წევრი სახელმწიფოებისთვისაც ხელშემკვრელია.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც სამართლის წყარო

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს დაცვის ქვეშ მყოფი წყაროა ფუნდამენტური უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. ეროვნული სასამართლოების მიერ სავალდებულოა სასამართლოს გადაწყვეტილებები და ისინი პრეცენდენტებია. წევრი სახელმწიფოებისთვის ხელშემკვრელი სავალდებულო ძალისაა არა მხოლოდ ევროკავშირის ხელშეკრულებების და მეორადი კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე ის გადაწყვეტილებებიც, რომელიც მიღებულია კავშირის მიღმა ჩამოყალიბებული წესებისა და სამართლებრივი ინსტრუმენტების საფუძველზე.

ევროკავშირის სამართლის თავისებურებანი

ზოგ შემთხვევებში კავშირის სამართალი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობას, ასეთ დროს თითოეულმა სამართლებრივმა წყობამ უნდა განსაზღვროს, როგორ გადაწყვიტოს იგი. ევროპულ და ეროვნულ სამართლებრივ ურთიერთობებში ჩამოყალიბდა უზენაესობისა და პრიორიტეტულობის პრინციპი. პრიორიტეტულობის სირთულეში იგულისხმება-განსაზღვრა იმისა, არსებობს თუ არა სამართლის ეროვნულ ზომებსა და სამართლის უზენაესობას შორის კონფლიქტი. უზენაესობის პრინციპის სირთულე მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა გადაწყდეს არსებული კონფლიქტი.

1.5 ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა, მიზნები და ამოცანები

რეგიონი პირდაპირი მნიშვნელობით არის ტერიტორიული სივრცე, თუმცა იგულისხმება ასევე ისეთი ტერიტორია, რომელიც რომელიმე ქვეყნის შემადგენელი ნაწილია და გულისხმობენ, აგრეთვე, რომელიმე კონტინენტის ნაწილს. თანამედროვეობაში კი რეგიონის ცნება ასეთი გაგებისაცაა, როდესაც მას გააჩნია სხვადასხვა კომპეტენციის ტერიტორიული მართვის საკუთარი ორგანოები. აქედან გამომდინარე, ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო რეგულირების მეთოდების გამოსაყენებლად, რეკომენდაციების შემუშავებისას გასათვალისწინებელია კონკრეტული რეგიონის ეკონომიკური, ბუნებრივი, სოციალურ-პოლიტიკური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური, ტაქტიკური და სტრატეგიული ფაქტორების სხვადასხვაობა.

რეგიონების ერთობლივი ევროპის პროექტის მთავარი დებულებებია:

- ევროპამ შეინარჩუნოს ისტორიულ-კულტურული და ეთნორეგიონული თვითმყოფადობა;
- ევროკავშირში მაცხოვრებლებმა საკუთარი თავი აღიქვან ერთიანი ევროპის მოქალაქეებად;
- თანაბარი შესაძლებლობის მოქალაქეთა ევროპის შექმნა;
- როგორც კულტურული, ასევე სოციალური ფორმების მრავალფეროვნების დაცვა.

ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- სუბსიდირება;
- სახსრების თავმოყრა;
- პროგრამების პრიორიტეტულობა, ის მიმართულია ტერიტორიების კომპლექსური განვითარებისკენ;
- პარტნიორობა, თანამშრომლობა, როგორც ადგილობრივ ისე ეროვნულ დონეზე;

რაც შეეხება სუბსიდირების პრინციპს, მის არსსა და შინაარსს შემდეგია,

- ცენტრალური მთავრობა თავს უყრის საყოველთაო კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ისეთ და იმდენ ეკონომიკურ თუ სოციალურ ფუნქციას, როგორის და რამდენის ეფექტურ რეალიზებასაც შეძლებს.
- რეგიონებისთვის გადაცემას კი ექვემდებარება საერთო კეთილდღეობის სფეროს რეგულირებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია.
- პროვინციებიც თავის მხრივ სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების ნაწილს, მათი რეალიზების შესაძლებლობის ფარგლებში გადასცემენ ადგილობრივი თვითმართველობის მუნიციპალური ორგანოების სისტემას.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აქვთ გამოცდილება პრობლემური რეგიონების კრიზისიდან გამოყვანის. აქ სტრატეგიული ხასიათის რეგიონული პრობლემების გადასაწყვეტად ხდება საწარმოების ყველა რეგიონის რესურსების მობილიზაცია, რაც შეეხება ადგილობრივი ხასიათის პრობლემებს ისინი გვარდება ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და სხვადასხვა ფონდების დახმარებით.

ქვეყნებმა და რეგიონებმა უნდა შეინარჩუნონ სოლიდარობა ღარიბ ქვეყნებთან და რეგიონებთან მიმართებაში. სწორედ ამ პოლიტიკურ პრინციპზეა დაფუძნებული ევროპული რეგიონული განვითარების პოლიტიკა. ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა მოიცავს ყველა ევროპულ რეგიონს, მიუხედავად მათი ეკონომიკური მდგომარეობისა. „2014-2020 წლების ფინანსირების პერიოდში ფულადი სახსრები გამოიყოფა ,,უფრო განვითარებული"(ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს 90%-ზე მეტი საშუალოდ), „გარდამავალი" (75%-დან 90%-მდე) და „ნაკლებად განვითარებული" (75%-ზე ნაკლები) რეგიონებისადმი. 2013 და 2017 წლებში ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა შედგებოდა სამი ამოცანისგან: *კონვერგენცია, რეგიონალური კონკურენტუნარიანობა* და *დასაქმება, ევროპის ტერიტორიული თანამშრომლობა*, ხოლო (2000-2006 წლებშის) სამი მიზანი უბრალოდ ცნობილი იყო, როგორც მიზანი: 1, 2 და 3".[19]

[19] იხ.გრძელიშვილი ნ. „ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკა“თბ.2019.გვ.37-38

ევროპის რეგიონული განვითარების პოლიტიკის წარმატების საფუძველია ევროკავშირის მაშტაბით პარტნიორულ ურთიერთობები, დაგეგმარება და რაციონალურ მართვა. დღეისათვის ევროპის რეგიონალური პოლიტიკას სამი ძირითადი მიმართულებისაა, პირველი ეხება ეკონომიკური კონვერგენციის ხელშეწყობას, რომელიც გულისხმობს ნაკლებად განვითარებული რეგიონების დახმარებას, რომლებიც ძირითადად ახალ წევრ ქვეყნებშია განლაგებული. მეორე ეხება იმ არსებულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია რეგიონალური კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების ხელშესაწყობად. ბოლო, მესამე კატეგორიის მიზანი კი რეგიონებისა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობაა და აღნიშნული გზით შეამციროს ნაციონალური საზღვრების ეკონომიკური მნიშვნელობა. ევროკავშირის ჩამოყალიბების პერიოდში დროის სხვადასხვა პერიოდში შეიქმნა ფინანსების წყაროები, რომლებიც სამი სახისაა. ესენია: ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF)-იგი ყურადღებას ამახვილებს ისეთ ინიციატივებზე, როგორებიცაა ეკონომიკური ზრდა, დასაქმება, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ასევე ინფრასტრუქტურის ინვესტირება. ინტეგრაციის ფონდი კი ყურადღებას ამახვილებს ენერგიის აღდგენის წყაროებზე, სატრანსპორტო და გარემოს დაცვის ინფრასტრუქტურაზე. და ბოლოს, ევროპული სოციალური ფონდის მიზანია ინვესტირება განახორციელოს საგანმანათლებლო და სასწავლო სფეროში.

რაც შეეხება ახალ წევრი ქვეყნების ინტეგრაციას ფინანსური სოლიდარობის მიზნით, შესაძლებელია წინამოსამზადებელი დახმარება მიიღონ იმ ქვეყნებმა, რომლებიც ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ მოლაპარაკების გზას ადგანან, ეს დამოკიდებულია მათ ეკონომიკურ პირობებზე. ახალმა წევრმა ქვეყნებმაც უნდა მოინდომონ რათა განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები და ეს რესურსები ეფექტურად გამოიყენონ. ევროპის რეგიონული პოლიტიკა უზრუნველყოფს იმ სტაბილურ, უსაფრთხო და ფინანსირების გამიზნულ წყაროს, რომლის გამოყენება ეკონომიკის აღდგენის სტიმულირებისთვისაა შესაძლებელი. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად კი ევროპაში რეგიონალური განვითარების პროგრამა სარგებლობს დაფინანსების სხვადასხვა სახის სფეროდან. ფონდების მთავარ წყაროებს

ევროპული რეგიონალური განვითარების ფონდი, ინტეგრაციისა და ევროპის სოციალური ფონდი წარმოადგენს.

ევროკავშირის ერთ-ერთი მახასიათებელია საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება. გამყარდა თანამშრომლობა ევროკავშირში შემავალ რეგიონებს შორის, რომელთაგანაც ზოგიერთი შედარებით უფრო გამოყოფილი და იზოლირებული საზოგადოება იყო. რაც შეეხება დასაქმებასა და ახალი შესაძლებლობების შექმნას, მას დიდი როლი აკისრია ეკონომიკური წარმატების ხელშეწყობაში ჩამორჩენილ რეგიონებში. ეკონომიკური წარმატების, კეთილდღეობის, კულტურული მემკვიდრეობის, სოციალური ტენდენციები და გარემო ვითარება, გეოგრაფიული თვალსაზრისით ემატება მრავალფეროვან და უნიკალურ კავშირს.

რაც შეეხება ევროკავშირის გამოცდილებას რეგიონულ პოლიტიკაში და მის გაზიარებას არაწევრი ქვეყნებისთვის, იგი სულაც არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მისი პირდაპირ გამოყენება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. თუმცა გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი სრულიად შესაძლებელია მამოძრავებელ ძალად იქცეს. მთავარია რეგიონული და ადგილობრივი ცოდნა იმის გასააზრებლად თუ, როგორ შეიძლება მდგრადი განვითარების მიღწევა. კონკრეტულ რეგიონს უნდა მოერგოს თითოეული პროგრამა, რომელიც დაფუძნებული იქნება ამ რეგიონის საჭიროებებზე და მისწრაფებებზე.

სახელმწიფოს მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია სივრცითი (ტერიტორიული) *მოწყობა* და იგი მნიშვნელოვან წილად განსაზღვრას იმ პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს, რომელიც აქვს სახელმწიფოს მართვის მხრივ. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ესწრაფვიან ევროკავშირთან ინტეგრაციას ტერიტორიული და რეგიონული განვითარების ევროპული გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია. რაც შეეხება თვითონ სივრცითი განვითარების კონცეფციას, 1999 წლის მაისში დაამტკიცეს ევროპის რეგიონული განვითარების მინისტრებმა პოსტდამში, „2000 წლის სექტემბერში კი ქ. ჰანოვერში შედგა ევროსაბჭოს ქვეყნის მინისტრების რეგიონალური დაგეგმვის მეთორმეტე კონფერენციის სესია (Conference Europeenne des Ministres

responsables de 1'Amenagement du Territoire-CEMAT)[20]. კონფერენციამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი საბუთი- „ევროპული კონტინენტის მდგრადი სივრცითი განვითარების ფუძემდებლური პრინციპები"(CEMAT პრინციპები), რომელიც მოიცავს ათ პუნქტიან პროგრამას „ევროპის რეგიონების ურთიერთთანხმობის გაძლიერება". 2002 წლის იანვარში „ევროპული კონტინენტის მდგრადი სივრცითი განვითარების ფუძემდებლური პრინციპები" დამტკიცდა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ და მიიღო პოლიტიკური დოკუმენტის სტატუსი. ეს პრინციპებია:

1. ტერიტორიული თანხმობის უზრუნველყოფა რეგიონების სოციალურ ეკონომიკური განვითარების დაბალანსების საშუალებით და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებით;
2. სამოქალაქო ფუნქციებით გენერირებული განვითარების წახალისება და სოფლისა და ქალაქის ურთიერთობის სრულყოფა;
3. სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის თანაბარი პირობების შექმნა;
4. ცოდნაზე და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
5. გარემოზე ზემოქმედების ზიანის შემცირება;
6. ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის გამრავლება და დაცვა;
7. კულტურული მემკვიდრეობის, როგორც განვითარების ფაქტორის, ხელშეწყობა;
8. ენერგორესურსების მოპოვების უსაფრთხოების განვითარება;
9. მაღალხარისხიანი მდგრადი ტურიზმის განვითარება;
10. ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შეზღუდვა."[21]

აღნიშნული პრინციპები მოწოდებულია იმისთვის,რომ დაეხმაროს სამი გაერთიანებული ამოცანის გადაწყვეტაში ესენია: ევროპული რეგიონის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება და

[20] იხ.გრძელიშვილი ნ. „ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკა"თბ.2019.გვ.68
[21] იხ.გრძელიშვილი ნ. „ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკა"თბ.2019.გვ.68-69

გაძლიერება, როგორც რეგიონულ ისე მუნიციპალურ დონეზე და ბოლოს ევროპის კონკურენტუნარიანობის გაზრდა გლობალიზაციის პირობებში.

რაც შეეხება ევროკავშირის თვალსაზრისს რეგიონულ კონკურენტუნარიანობის შესახებ, ქვეყანა თუ მის მოსახლეობას აქვს მაღალი და მზარდი ცხოვრების დონე და დასაქმების კოეფიციენტი ევროკავშირის მიერ მიღებული დებულების თანახმად, ის ქვეყანა კონკურენტუნარიანია. მთავარი საზომი არის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია რიგი ინდიკატორები სოციალური სფეროს, გარემოს, ჯანდაცვის, კეთილდღეობის, დასაქმების დონისა და ნაყოფიერების (მშპ ერთ სულ მოსახლეზე) პარამეტრების აღრიცხვაც. ევროკავშირის პოლიტიკა კონკურენტუნარიანობასთან მიმართებით არის ცხოვრების დონის მხარდაჭერისა და ამაღლების მიზნით არაფასობრივი კონკურენციის განვითარება, ასევე მხარდაჭერა სოციალურ და მორალური ფასეულობების. აქედან გამომდინარე ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სტრუქტურულ ფაქტორებზე ისინი კი თავის მხრივ განსაზღვრავენ კონკურენტუნარიანობას, ასევე ხელს უწყობენ გრძელვადიან ზრდას, კერძოდ, კი ინოვაციების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ადამიანური კაპიტალის სფეროში. მოსახლეობის საგანმანათლებლო დონეს პირდაპირ უკავშირდება ტექნოლოგიების ცვლილებებისადმი ადაპტირება, რათა მუდმივად ინერგებოდეს ინოვაციები. ცოდნის განვითარების ფუძემდებლური ელემენტი კი ინფორმაციული ტექნოლოგიებია. ევროკავშირში რეგიონების კონკურენტუნარიანობის განვითარების ელემენტი ეს ის სტრუქტურული ფონდია, რომელიც აერთიანებს რეგიონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობასა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის სხვადასხვა მიმართულებებს მათი შემოსავლიანობის ამაღლებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ადამიანური კაპიტალი, ინფრასტრუქტურა, ინოვაციური შესაძლებლობების რეალიზება და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება არის სფეროები, რომლებსაც ფონდები მხარს უჭერენ.

1.6 ევროკავშირის გათანაბრების პოლიტიკა

გათანაბრების პოლიტიკა კრებითი ტერმინია, აქ იგულისხმება ევროკავშირის შედარებით ღარიბ წევრ სახელმწიფოებში ყველა ის გატარებული ღონისძიება, რომელიც მიმართულია ახალი შესაძლებლობებისა და თანაბარი ეკონომიკური პირობების შესაქმნელად. ახალ სამუშაო ადგილებში ინვესტირებასა და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული პოლიტიკა სწორედ ამ განსხვავებების აღმოფხრას ცდილობს.

გათანაბრების პოლიტიკა იმ დროიდან იღებს სათავეს, როცა ჯერ კიდევ „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებამ“[22] სპეციალური გრანტები გამოყო სუსტი ინდუსტრიული რეგიონების გამოსაცოცხლებლად. 1969 წელს ევროკომისიის მიერ წამოყენებულ საერთო რეგიონულ პოლიტიკას და რეგიონული განვითარების ფონდის დაარსებას დიდი ენთუზიაზმი არ მოჰყოლია იმის გამო, რომ დამფუძნებელ ექვს ქვეყანას შორის ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ იყო.

1973 წელს, მას შემდეგ რაც ორი ქვეყანა ირლანდია და დიდი ბრიტანეთი გახდა გაერთიანების წევრი ქვეყნები ეკონომიკური განსხვავებები თვალშისაცემი გახდა. შესაძლებელი იყო ამ განსხვავებებს საფრთხე შეექმნა საერთო ბაზრისთვის, ასევე დამაბრკოლებელი იყო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის გეგმების განხორციელებისთვისაც. სწორედ ამის გამო 1975 წელს შეიქმნა ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (European Regional Development Fund(ERDF)[23].

ევროკავშირში ცენტრალური დაგეგმარების ნაკლებად განვითარებული, გაჩანაგებული ეკონომიკის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაწევრიანების შედეგად მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავება უფრო გაიზარდა. დაიწყო ცვლილებების ახალი ტალღა, რომელთა შედეგად შეიქმნა სისტემა,რომელიც ეგრედ წოდებულ სტრუქტურულ ფონდს ეფუძნება. თითოეული მათგანიდან კი რესურსები ევროკავშირის იმ ნაწილში ირიცხება, რომელსაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. რაც შეეხება სისტემის ხუთ ძირითად სტრუქტურულ ფონდს, შემდეგია:

---

[22] იხ.მაკკრომიკი ჯ. „ევროკავშირის პოლიტიკა“თბ.2016.გვ.447
[23] იხ.მაკკრომიკი ჯ „ევროკავშირის პოლიტიკა“თბ.2016.გვ.447

1. ევროპის სოციალური ფონდი-დაარსდა 1958 წელს, მისი მიზანია სამუშაო ადგილების შექმნა, მუშახელის მობილობის ხელშეწყობა, გრძელვადიან უმუშევრობასთან ბრძოლა და მშრომელთა მხარდაჭერა ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ადაპტირებაში.
2. ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი, დაარსდა 1975 წელს, იგი ხელს უწყობს იმ რაიონებსა და ქალაქის უბნებს, რომლებიც ნაკლებადაა განვითარებული; აქცენტს აკეთებს ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე.
3. გათანაბრების ფონდი დაარსდა 1992 წელს, რომელიც კომპენსაციას გასცემს შედარებით ღარიბ სახელმწიფოებზე მათ მიერ ეკოლოგიური სტანდარტების გაუმჯობესებასა და ასევე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯების დასაბალანსებლად.
4. ევროპის სოფლის მეურნეობის ფონდი სოფლის განვითარებისათვის დაარსდა 2006 წელს, იგი ხელს უწყობს ფერმერობისა და მეტყევეობის მოდერნიზაციას, ხელს უწყობს სურსათის ხარისხის გაუმჯობესებას, აბალანსებს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის კანონის ხარჯებსა და სოფლის ეკოლოგიისა და სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას.
5. ევროპის საზღვაო და თევზსაჭერი ფონდი დაარსდა 2007 წელს, იგი ეხმარება მეთევზეებსა და თევზსაჭერი გემების პატრონებს, რომლებზეც გავლენა იქონია იმ ზომებმა, რომლებიც მიღებული იქნა ჭარბი თევზჭერის აღსაკვეთად; ასევე ხელს უწყობს სანაპირო ზოლების მდგრად განვითარებას.

ევროკავშირი ეკონომიკური ზრდისთვის გამოყოფილ ინვესტიციებს კიდევ სხვა ორი ფონდის მეშვეობით ახორციელებს, ესენია:

1. *სოლიდარობის ფონდი*[24] (დაარსებულია 2002 წელს) იგი აფინანსებს ბუნებრივი კატასტროფებით მიყენებულ ზარალს, დროებითი საცხოვრებლებს. ერთადერთი ზესახლმწიფო არსებობდა და ეს აშშ იყო. იგი აშენებს ინფრასტრუქტურას და იცავს კულტურულ მემკვიდრეობას.

[24] იხ. მაკკრომიკი ჯ. „ევროკავშირის პოლიტიკა“ თბ.2016გვ.448

2. *გლობალიზაციის რეგულირების ფონდი* (დაარსდა 2007 წელს) აღნიშნული ფონდი ეხმარება იმ მშრომელებს, რომელთაც ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად სამუშაო დაკარგეს.

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ ადრე პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისთვის ევროკავშირი რეგიონებს სამ კატეგორიად ყოფდა-ამოცანა 1,2,3. ახლა მათ სხვა სახელწოდებები აქვთ, თუმცა მიზნები თითქმის უცვლელი დარჩა.

1. კონვერგენციის სამიზნედ მოიხსენიებენ რეგიონებს, რომელთა მშპ ერთ სულ მოსახლეზე 75%-ზე დაბალია ევროკავშირის ქვეყნებისთვის დადგენილ მშპ-ზე.
2. ამ დროს უმთავრესი მიზანია მეტი ინვესტიციები, ახალი სამუშაო ადგილები და ასევე ინფრასტრუქტურის განვითარება.
3. რეგიონული კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების ამოცანის მიზანია ევროპის ის ნაწილები, რომლებიც კონვერგენციის მიზნებში არ შედის ინვესტიციებისთვის უფრო კონკურენუნარიანი და მიმზიდველი გახადოს.
4. ტერიტორიული თანამშრომლობის ამოცანის მიზანი თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროპის რეგიონებს შორის და საერთო გადაწყვეტილებების მიღება ურბანული, სოფლისა და სანაპირო ზოლის განვითარების ხელშესაწყობად.

1.7 ევროკავშირის გამოცდილება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

გავრცელებული აზრის თანახმად ევროკავშირის პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა სრულად დაძლიეს კომუნისტური წარსულის მემკვიდრეობა, თუმცა ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე ზეგავლენა ევროკავშირში შესასვლელად საჭირო მოსამზადებელმა პერიოდმა იქონია, როდესაც მიმდინარეობდა ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია, ეს გულისხმობს საწარმოო დანახარჯების შემცირებას და წარმოების განახლებას, რათა ის შესაბამისობაში ყოფილიყო ხარისხის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. (ISO-International Organization for Standardization[25]). შეიძლება ითქვას, რომ ამის შემდეგ პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის კომუნისტური წარსულის მძიმე მემკვიდრეობა ძირითადი პრობლემა აღარაა.

[25] იხ.პაპავა ვ.“დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა-ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო“თბ.2018გვ.11

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის, რომელ მოდელს ირჩევს ქვეყანა. ევროკავშირის წევრ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს და საქართველოს საერთო წარსული აქვს ბრძანებლური ეკონომიკის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ჩამოყალიბდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირი მაინც რჩება ეკონომიკურ გაერთიანებად. გადავხედოთ იმ მოდელებს, რომლებსაც იყენებს ევროკავშირი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, რომლის მისადაგება უფრო მიზანშეწონილია თანამედროვე ქართული სინამდვილისთვის. ერთ-ერთი თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით ეკონომიკური ზრდის სამ ტიპს განარჩევენ:

1. „მოწინავე ზრდა" („frontier growth")[26], აღნიშნული ეკონომიკური ზრდის ტიპი დამახასიათებელია ქვეყნებისთვის (მაგ. აშშ-სთვის), რომლებიც ქმნიან თვისებრივად ახალ პროდუქტებს, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ წარმოებას;
2. „კუდში მიმდევარ ზრდას" („coat-tail growth")[27], რომელიც დამახასიათებელია ნავთობის ან სურსათის ექსპორტიორი ქვეყნებისთვის, სწორედ ამ პროდუქტების მიწოდება განაპირობებს მათ ეკონომიკურ ზრდას;
3. „დამწევი ზრდა" („catch-up")[28], დამახასიათებელია ქვეყნებისთვის,რომლებიც არსებულ ტექნოლოგიებს მინიმალური დანახარჯებით იყენებენ, რათა შეძლონ წარმოებული პროდუქტების ექსპორტი მაღალშემოსავლიან ქვეყნებში.

ზემოთ აღნიშნიშნული ეკონომიკური ზრდის მოდელებიდან არცერთი არ გამოიყენება საქართველოში და ეკონომიკის განვითარება უმთავრესად ქვეყნის ტურისტულ პოტენციალზეა ორიენტირებული. ქრონიკული სიღარიბე, განუვითარებელი საექსპორტო პოტენციალი, ასევე საზღვარგარეთ წასული მოქალაქეების ფულადი გზავნილები-შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ღარიბი ქვეყნის განვითარების მოდელი, ანუ როგორც უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის

[26] პაპავა ა. „დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა-ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო".თბ.2018.გვ.4
[27] პაპავა ა. „დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა-ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო"თბ.2018.გვ.4
[28] იქვე,გვ.5

მოდელი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა ევროკავშირში გასაწევრიანებლად საჭირო იმ თითქმის 10 წლიან პერიოდს, რომელიც დათმობილი ჰქონდა ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას საწარმოო დანახარჯების შემცირებისა და წარმოების თვისებრივი განახლებისთვის. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული ევროკავშირისთვის უფრო მეტად მიზანშესწონილი გახლდათ ინვესტიციების განხორციელება გეოგრაფიულად მომიჯნავე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. კერძოდ კი ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის ხელსაყრელი იყო პოსტკომუნისტური ქვეყნების მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და ინჟინერთა დასავლეთევროპელ კოლეგებთან შედარებით დაბალი შრომის ანაზღაურება. ამ გზით მოცემულ ქვეყნებში შესაძლებელი გახდა მეტ-ნაკლებად სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა და საექსპორტო პოტენციალის გაფართოება. ამ ქვეყნებისთვის უმთავრესად დამახასიათებელია უფრო ჩამორჩენილი ზრდის მოდელი, ვიდრე დამწევი ზრდის. საქართველოში კი უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის მოდელის გამოყენებამ ის შედეგი გამოიღო, რომ აქ ჩამოყალიბდა ღარიბი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მომხმარებლური მეთოდი. განვითარების ამ ეტაპზე ალბათ უფრო იკვეთება უკიდურესად ჩამორჩენილიდან კუდში მიმდევარი ზრდის მოდელზე გადასვლა, რაც არ იძლევა იმედის საფუძველს და საქართველოსთვის მიზანშეწონილია გახდეს დამწევი ზრდის მოდელზე გადასვლა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლებია უმთავრესი კრიტერიუმი რითაც ფასდებიან კანდიდატი ქვეყნები ევროკავშირში გასაწევრიანებლად საქართველოს ბევრი აკლია ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

1.8 ევროკავშირის გლობალური როლი

პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო სისტემაში დომინანტები ევროპის უდიდესი სახელმწიფოები იყვნენ. ესენი იყვნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი. ისინი ოთხი ძირითადი მახასიათებლით განსხვავდებოდნენ სხვა სახელმწიფოებისგან

1. ფლობდნენ დიდ სამხედრო ძალას და საკუთარ ძალაუფლებას თავიანთი საზღვრების მიღმა საკმაოდ შორს აკონტროლებდნენ;
2. მათი ინტერესების მაშტაბი გლობალური იყო;
3. მზად იყვნენ საკუთარი ინტერესების დასაცავად აგრესიული მეთოდები გამოეყენებინათ;
4. მათი სტატუსი სხვა სახელმწიფოების მიერ იყო აღიარებული.

მათ ძლევამოსილებას ბოლო ორმა მსოფლიო ომმა მოუღო. წარმოიშვა უზარმაზარი სამხედრო ძალისა და დიდი ბირთვული არსენალის მქონე ზესახელმწიფოები აშშ-სა და საბჭოთა კავშირის სახით. სახელმწიფოთა დიდი ნაწილი ან აშშ-ს უჭერდა მხარს ან საბჭოთა კავშირს. 1991 წლიდან კი, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა მსოფლიომ ბიპოლარულიდან ერთპოლუსიან ფაზაში გადაინაცვლა, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც. დღესდღეობით კი მრავალპოლარულ სისტემაზე ალაპარაკდნენ, სადაც გაერთიანებულია ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი, თუმცა დასძენენ, რომ აშშ ყოველთვის იქნება განსაკუთრებული. ამ დროს რატომღაც უგულებელყოფენ ევროკავშირს და მისი ძალაუფლების უდიდესს პოტენციალს, ასეთი დამოკიდებულება ევროკავშირისადმი რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას.

- უდიდესი სახელმწიფოები შეფასებულნი არიან ჯერ კიდევ სამხედრო ძლიერების მიხედვით, რადგან ევროკავშირს არც ერთობლივი სამხედრო ძალები ჰყავს და არც პოლიტიკა, რომელიც გლობალური მაშტაბების მქონე სამხედრო ძალას ეფუძნება აქედან გამომდინარე ცოტა თვლის მას იმავე დონის ზესახელმწიფოდ, როგორც აშშ ან როგორიც იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი.
- დღემდე უდიდესი ძალა მხოლოდ ინდივიდუალურ სახელმწიფოსთან ასოცირდება, ვინაიდან ძირითადად შეიარაღებული ძალები მხოლოდ მათ ჰყავთ, აქედან გამომდინარე, გლობალური გავლენაც მათ ხელშია. ევროკავშირის შემთხვევაში მის წევრ ყველაზე დიდ სახელმწიფოებსაც კი მოკრძალებული საერთაშორისო გავლენა აქვთ.
- ძალაუფლება შთამბეჭდავია, როცა იგი ხილულია. მაგალითისთვის ავიღოთ ამერიკული ავიამზიდები, რომლებსაც იყენებენ ძალის დემონსტრაციისთვის.

ევროკავშირს კი ასეთი ძალის საპირწონედ არაფერი გააჩნია. მის გავლენას შეიძლება ეწოდოს სათუთი და არა მკვეთრი და დაჟინებული.

- კრიტიკოსები მიუთითებენ მისი, როგორც ლიდერის როლის უუნარობაზე. უპირველესი მაგალითია სულ ბოლო 2014 წლის უკრაინის მოვლენები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ისეთი პრობლემური სახელმწიფოები, როგორებიც არიან ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს გაცილებით სერიოზულად უყურებენ.

საერთოდ სჭირდება კი ევროკავშირს სამხედრო ძალა?

დიახ-სამხედრო ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში პრიორიტეტად ითვლება, რაც უნდა ვიმსჯელოთ ეკონომიკურ სიძლიერეზე.

ევროკავშირს შესაძლოა მართლაც აქვს მსოფლიოს უმდიდრესი ბაზარი და უდიდესი სავაჭრო ძალა, მაგრამ იგი ვერ შეძლებს საკუთარი თავის სრულყოფილად დაცვას უსაფრთხოების რისკებისაგან და ვერც გავლენას ვერ მოახდენს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში შექმნილ პრობლემებზე, სანამ იგი არ განამტკიცებს თავის გლობალურ როლს სამხედრო და საერთო დაცვის პოლიტიკით.

შეიძლება ევროპელებს მართლაც ჰქონდეთ საერთაშორისო პრობლემების რბილი მიდგომით გადაწყვეტის სურვილი, მაგრამ შესაძლოა იყოს სამხედრო ძალის გამოყენება საჭირო უკიდურესს შემთხვევებში.

სამხედრო ძალების არქონის შემთხვევაში ევროკავშირი დამოკიდებული იქნება, როგორც წევრ სახელმწიფოებზე ასევე აშშ-ზე, რის ფონზეც შეზღუდული ექნება დამოუკიდებლობა. სწორედ ამ დროს არის დიდი რისკი, რომ წევრ ქვეყნებს შორის წამოიქმნას ერთგვარი დაძაბულობა.

არა-დიდი სამხედრო ძალის შენახვა დიდძალ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რის გამოც სხვა საჭიროებებს აკლდებათ ფულადი ხარჯები, მაგ: ჯანდაცვას, განათლებას, სიღარიბის დაძლევას, მომსახურებასა და ინფრასტრუქტურა.

სამხედრო დაძაბულობა ეს ევროპის დაძაბულობების წყარო იყო.

2012 წელს ევროკავშირს გადაეცა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. ეს ჯილდო ევროკავშირის დამფუძნებლებისთვის ოცნების ახდენას ნიშნავდა, რომელთაც სურდათ, რომ ევროპულ ქვეყნებს უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან ყოველგვარი ომებისა და კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს ამერიკის ძალაუფლების მაშტაბები. (მაგ. ვიეტნამი გავიხსენოთ,სადაც აშშ-ს ჯარებმა ვერ გაიმარჯვეს.) სამხედრო ძალა ძვირი შესანახია ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოსთვის, აქ იგულისხმება,როგორც ფინანსური ისე ადამიანური რესურსები.

ამერიკის ეკონომიკური სიძლიერე გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზეც საეჭვოა, რომლის დადგომაშიც აშშ-მ დიდი როლი ითამაშა და თავიც ვერ გაართვა.

რაც შეეხება ევროკავშირის მაშტაბები. ევროკავშირს აქვს დიდი ეკონომიკური ძალა. სამხედრო ძალის მხრივ ევროკავშირი რა თქმა უნდა არ არის უნაკლო, მიუხედავად იმისა, რომ 28 წევრი ქვეყნის სამხედრო ძალის გაერთიანებით სერიოზული ძალა მიიღება. ევროკავშირის მიზანია კონფლიქტური სიტუაციების მართვა მშვიდობიანი მოლაპარაკებით. ის ეწინააღმდეგება ძალისმიერ მოქმედებებს ცალსახად. ეს გაერთიანება ცდილობს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სფეროს გაუმჯობესებით მოიპოვოს ძალაუფლება და არა ომით და ძალისმიერი მოქმედებებით. იგი, როგორც გლობალური ძალის ახალი ტიპის მოდელი, ხასიათდება ოთხი ძირითადი მახასიათებლით.

პირველ რიგში, მან გააბათილა არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოები იცავენ მხოლოდ საკუთარ ინტერესებს საერთაშორისო ანარქიულ სისტემაში და ნაკლებად ენდობიან გრძელვადიან საერთაშორისო თანამშრომლობასა და ალიანსებს.

მეორე-ევროპელები ანიჭებენ *მულტილატერალიზმს უნილატერალიზმთან* შედარებით. *უნილატერალიზმში* იგულისხმება ყველა სახელმწიფოს მცდელობა იმოქმედოს დამოუკიდებლად და მხოლოდ საკუთარი რესურსების გამოყენებით ცვლილებების მისაღწევად; *მულტილატერალიზმის* თანახმად კი მიზნები მიიღწევა სხვებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

მესამე-ევროკავშირისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია მშვიდობიანი მოლაპარაკებები სამხედრო ძალასთან შედარებით. დღევანდელი ევროპის ძალა ვაჭრობაში, ინვესტიციებსა და ევროპული მულტინაციონალური კომპანიების მაშტაბებშია გამოხატული და არა ევროპის სამხედრო ძლიერებასა და კონფლიქტებში.

და ბოლოს, *მეოთხე*-ევროკავშირის ბუნებრივი მდგომარეობა მშვიდობიანი თანაარსებობაა და არა საომარი მდგომარეობა. მისი წევრი სახელმწიფოები ერთმანეთს აღარ ემუქრებიან და არც იგი წარმოადგენს ვინმესთვის საფრთხეს.

დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე მოვიყვანოთ რამოდენიმე მოსაზრება იმის შესახებ თუ რას შეიძლება უქადდეს მომავალი ევროპასა და ევროპის კავშირს.

1. „ევროინტეგრაციის შედეგები ადვილად ვერ შეიცვლება. ევროკავშირს ყოველთვის ეყოლება მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ხელშეკრულებები და მათი თანმხლები კანონები რაღაც საოცრების წყალობით რომც გაუქმდეს და ყველა ევროპული ინსტიტუცია, რომ დაიხუროს და მათი კადრები დაითხოვონ, კავშირები, რომლებმაც 1945 წლიდან ევროპა და ევროპელები დააკავშირა არათუ შენარჩუნდება, არამედ განმტკიცდება კიდეც პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის უხილავი ხელის წყალობით.
2. კრიზისები ინტეგრაციის პროცესში გარდაუვალია. ეს პროცესები კვლავაც მრავალი დავის საგანი გახდება. ინტეგრაციის პროცესზე კი კვლავაც იტყვიან, რომ ევროკავშირი მოკვდა ან კვდება.
3. შორს არ არის ის დრო, როცა ევროკავშირის წევრთა რაოდენობა გაიზრდება. ევროკავშირში გაწევრიანების რიგში ათობით სახელმწიფო დგას.

4. ევროკავშირის სუპრაეროვნული თვისებები მოიმატებს, სახელმწიფოს როლი კი ევროპულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დაკნინდება.
5. ევროკავშირი საერთაშორისო სისტემის გადაფასებას შეუწყობს ხელს. მძლავრი ევროპული სახელმწიფოების ეპოქა და ცივი ომისდროინდელი ორპოლუსიანი მსოფლიო წარსულს ჩაბარდება; დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში და ჩინეთისა და

არსებობაც. დღეს უკეთ გვესმის ეკონომიკური და ნორმატიული ძალის უპირატესობა სამხედრო ძალასთან შედარებით და საზოგადოებრივი კავშირებსაც ახლებურად აღვიქვამთ, ამიტომ ალბათ უფრო მეტი ადამიანი შეხედავს სხვა თვალით იმ გავლენას, რომელსაც ევროკავშინდოეთის გაძლიერების ფონზე, ეჭვქვეშ დადგა აშშ-ს ერთპიროვნული ჰეგემონიის ირი გლობალურ პოლიტიკასა და ეკონომიკაზე ახდენს.

მდიდარი დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს არ ეომებიან;ეს არსად ისე მტკიცედ არ აქვთ გააზრებული, როგორც ევროპაში,რის გამოც ევროკავშირი კვლავაც რბილი ძალის გამოყენების ჩემპიონად დარჩება.“[29]

და ბოლოს, ევროკავშირს კვლავაც მოუწევს საქმიანობა ეკონომიკის განვითარების, მუშევრობის, დაუსაქმებლობის, ტერორიზმის, სიღარიბის დაძლევის ამ და სოციალური კუთხით. რა თქმაუნდა ევროკავშირი ვერასდროს მიაღწევს სრულყოფილებას, მაგრამ იგი გაცილებით უკეთესია სახელმწიფოთა მეტოქეობის ეპოქაზე.

რა წარმოდგენაც არ უნდა გვქონდეს ევროკავშირზე, მას ვერ უგულებელვყოფთ. ევროკავშირი ეს ხომ უდიდესი და უმდიდრესი ბაზარია გლობალურ სივრცეში, მსოფლიოს უდიდესი სავაჭრო ძალაა, კომპანიათა შერწყმისა და შესყიდვების უმსხვილესი ბაზარი, მსოფლიოს პირდაპირი ინვესტიციების უდიდესი წყარო და სამიზნეც, ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობებში, იმ როლს, რომლის მსგავსიც ისტორიაში ჯერ არცერთ მნიშვნელოვან მოთამაშეს არ შეუსრულებია, ვინაიდან იგი მხოლოდ სამშვიდობო საშუალებებს იყენებს და არა სამხედრო ძალას.

[29] მაკკრომიკი ჯ. „ევროკავშირის პოლიტიკა“ თბ.2016 გვ.555-556

თავი II. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამედროვე ურთიერთობების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები

2.1. საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვა (1996-2015)

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, ის შეეცადა საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირების დამყარებას. ერთ-ერთი ასეთი პარტნიორი კი ევროგაერთიანება იყო და დღეს უკვე საქართველო ევროკავშირის ასოცირების წევრია. 1996 წელს 10 წლიან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა, თუმცა აღნიშნული ვადის გაგრძელებასაც ითვალისწინებდა. პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას გააჩნდა სამი ძირითადი მიზანი,

- შესაბამისი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეებს შორის პოლიტიკურ დიალოგსა და ურთიერთობების გაღრმავებას;
- საქართველოს მხარდაჭერა დემოკრატიის, ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად;
- ვაჭრობისა და ინვესტიციების მხარდაჭერა, ეკონომიკური თანამშრომლობისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო, როგორც ინსტიტუციურ თანამშრომლობას ასევე *თანამშრომლობის საბჭოს,თანამშრომლობის კომიტეტისა და საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის* შექმნას. *თანამშრომლობის საბჭოში* გაერთიანებული იყვნენ მინისტრები, ისინი იკრიბებოდნენ მინიმუმ ერთხელ წელიწადში. *თანამშრომლობის კომიტეტი,* რომელიც აერთიანებდა მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეებს, ისინი ამზადებდნენ თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრებს, ხოლო *საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი,* წარმოადგენდა პოლიტიკური დიალოგის ფორუმს, თავს უყრიდა საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს. ეს ინსტიტუტები ხელს უწყობდა იმ მიზნების შესრულებას, რომელიც

გათვალისწინებული იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით. 2003 წელს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დაწყების შემდეგ საქართველოს ევროინტეგრაციის იდეამ ახალი ძალა შეიძინა, ეს საქართველო-ევროკავშირის მჭიდროდ დაახლოების მიზეზი გახდა. ევროპულმა სამეზობლო პოლიტიკამ დიდი როლი შეასრულა ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების გატარების, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და ქვეყნის მოდერნიზების საქმეში. მოგვიანებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ევროკავშირმა აქტიური ფინანსური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს, ხოლო კონფლიქტის დასარეგულირებლად ჩამოაყალიბა ევროკავშირის მონიტორინგის მისია, რომელიც 2008 წლის 15 სექტემბერს დაარსდა, შეუარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა, რომელიც დღემდე უწევს მონიტორინგს კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას და იგი ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია, რომელიც კონფლიქტის ზონაში მოქმედებს. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ოცდაექვსმა გამოგზავნა მისიაში სხვადასხვა სამოქალაქო, საპოლიციო და სამხედრო გამოცდილების მქონე ადამიანი. ასეთ რთულ გარემოში მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ასეთი სახის პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების ერთობლიობა მნიშვნელოვანია. მისია 24 საათიან პატრულირებას ახორციელებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს. მისიის საქმიანობა შემოიფარგლება ძირითადად ადგილზე არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებით და არსებული ინციდენტების შესახებ ანგარიშების წარდგენით. აღსანიშნავია ისიც, რომ შესაბამის მისიის ამ მიდამოებში მუდმივად ყოფნა უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მისიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, აგრეთვე ფუნქციონირებს სამი რეგიონული ოფისი: მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში. დამკვირვებლები სამ თემატურ ჯგუფად არიან დაყოფილები:

- „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე ნდობის აღდგენა;
- მონიტორინგი საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმის შესრულებაზე;

- ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები კონფლიქტის მართვისას.“[30]

1995 წელს თბილისში ევროკომიის წარმომადგენლობა გაიხსნა, 2009 წელს მას შემდეგ, რაც ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა იგი ევროკავშირის წარმომადგენლობად გარდაიქმნა. აღნიშნული წარმომადგენლობის მანდატი მოიცავს შემდეგ საქმიანობას: ასოცირების შეთანხმების განხორციელებაზე მონიტორინგი, საზოგადოების ინფორმირება ევროკავშირის განვითარების, ცნობადობის, მისი ინსტიტუტების, პროგრამების შესახებ და სხვ.

ქვემოთ მოცემულია 1996 წლიდან მოყოლებული საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

1996 წელი 22 აპრილი-ლუქსემბურგში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი[31].

1999 წელი-შეიქმნა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტები და მათი მიზანი 1996 წლის შეთანხმების ხელშეწყობა და ორმხრივი ურთიერთობებისა და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება იყო. ეს ინსტიტუტებია:

- საბჭო, რომელიც გულისხმობდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობას;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტი;
- საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი საქართველოსა და ევროკავშირს შორის;
- საპარლამენტო თანამშრომლობის ქვეკომიტეტები საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

სხდომები წელიწადში ერთხელ იმართება, აგრეთვე, წელიწადში მინიმუმ ერთხელ იმართება შეხვედრა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის (PSC) „ტროიკას"ფორმატით.

---

[30] https://eumm.eu/ge/
[31] http://infocenter.gov.ge/euinfo-important-dates/#1

2003 წლის 7 ივლისს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის საბჭომ.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში.

2006 წლის 14 ნოემბერს მიღებული იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა.

2008 წლის 1 სექტემბერს გაიმართა ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომა, ეს სხდომა პასუხი იყო 2008 წლის აგვისტოს ომის. ამავე წლის 15 სექტემბერს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) და უკვე 1 ოქტომბრიდან საქართველოში იქნა მოვლინებული. ამავე წლის 25 სექტემბერს შეიქმნა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი საქართველოში კრიზისისთვის, ეს გადაწყვეტილება ევროპის საბჭოს ეკუთვნოდა.

2008-2010 წლებისთვის საქართველოსთვის გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ 4,5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2009 წლიდან შეიქმნა თანამშრომლობის ახალი ფორმატი-ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი (HRD). ამავე წელს საქართველო ჩაერთო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივაში, მის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზანია ევროკავშირის და მონაწილე ქვეყნების

- პოლიტიკური ასოციაცია და ეკონომიკური ინტეგრაცია;
- მოქალაქეთა და ტვირთების გადაადგილების გამარტივება;
- დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავება.

მხარეთა შეთანხმებით ზემოთ აღნიშნული მიზნები მიიღწევა შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;
- საბაზრო ეკონომიკის ერთგულება.

აღმოსავლეთ პარტნიორობა გულისხმობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის მრავალმხრივ თანამშრომლობას და ასევე გამოცდილების გაცვლას სხვა მონაწილე ქვეყნებთან. ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია წვდომა კასპიისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსებზე, სამხრეთ კავკასიაზე, კონკრეტულად კი საქართველოზე გამავალი ენერგეტიკული კორიდორის მეშვეობით. ამ ინიციატივის ფარგლებში საქართველოსთვის ევროკავშირთან თანამშრომლობა მოიცავდა: ფინანსურ, ეკონომიკურ, სოციალურ ინტეგრაციას და სხვ.

აღმოსავლეთ პარტნიორობამ უფრო მეტად განამტკიცა პარტნიორი ქვეყნების კანონმდებელთა თანამშრომლობა. „ევრონესტი“ რომელიც საპარლამენტო თანამშრომლობის ორგანიზაციაა 2011 წლის მაისში შეიქმნა ევროპარლამენტისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების მონაწილეობით.

2015 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნებული ერთობლივი კომუნიკაცია ევროკომისიისა და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის მიერ ეხებოდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის საკითხს. ახალი სამეზობლო პოლიტიკის ორიენტირი სტაბილიზაციის ხელშეწყობაა მთლიანად სამეზობლოში, იგი ითვალისწინებდა თანამშრომლობის გაძლიერებას შემდეგი მიმართულებებით.

- ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ევროკავშირის საერთო ბაზარში ინტეგრაცია;
- ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა.

2010 წლის 17 ივნისს ქალაქ ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ"[32], ხოლო ამავე წლისს 22 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას

[32] დაწვრ.იხ. http://infocenter.gov.ge/euinfo-important-dates/#1

ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება ძალაში 2011 წლის 1 მარტს შევიდა. 2010 წლის 15 ივლისს მოლაპარაკებები დაიწყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე (AA). 2010 წლის 2 დეკემბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს შორის „ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ"[33]. აღნიშნული შეთანხმება ხელს შეუწყობს აერონავიგაციის ერთიან ევროპულ სისტემაში საქართველოს ინტეგრაციას. ავიაციის სფეროში კანონმდებლობის დახვეწას, ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებასა და ევროკავშირის წესების უმრავლესობის განხორციელებას.

2011 წლის 14 ივლისს ხელი მოეწერა, ხოლო ძალაში შევიდა 2012 წლის 1 აპრილს შეთანხმება „სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის"[34] შესახებ. ამავე წლის 1 მარტს ძალაში შევიდა შეთანხმებები სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის და რეადმისიის შესახებ.

2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმების" მესამე ნაწილზე, ის გულისხმობს მოლაპარაკებებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DCFTA). 2012 წლის 4 ივლისს გაიხსნა დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

2013 წლის 25 თებერვალს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ოფიციალურად გადმოეცა.

2013 წლის 20 თებერვალს გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე, ხოლო ამავე წლის 9 სექტემბერს ქ. ბაქოში შედგა „აღმოსავლეთ პარტნიორობის"[35] მეოთხე ეხვედრა, იგი მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრას ენერგეტიკის საკითხებზე, აღნიშნული შეხვედრა არაფორმალური იყო.

---

[33] დაწვრ.იხ.http://infocenter.gov.ge/euinfo-important-dates/#1
[34] დაწვრ.იხ. http://infocenter.gov.ge/euinfo-important-dates/#
[35] იქვე

2014 წლის 26 ივნისს შემუშავებული დღის წესრიგის მიზანი იყო ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობისა და შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიანი გეგმა. 2014 წლის 17 ნოემბერს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა. ამოქმედდა ახალი ინსტიტუციური ჩარჩო-ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტები და დარგობრივი ქვეკომიტეტები. 2014 წლის 21 მაისს ქ. ბრიუსელში გაიმართა შეხვედრა ევროკომისიის კოლეგიასა და საქართველოს მთავრობას შორის ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავების კუთხით.

2014 წლის 21-22 მაისს რიგაში გამართულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის"[36] სამიტზე მიღებული იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2015 წლის 2 ივნისს გაიმართა საქართველო ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომა. 2015 წლის 16 ნოემბერს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეორე შეხვედრა.

2015 წლის 18 დეკემბერს ევროკომისიამ რიგით მეოთხე საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შესახებ. 2015 წლის დეკემბერში დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციის პროცესს.

2016 წლის ივლისს ასოცირების შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

2017 წლის 28 მარტს ძალაში ოფიციალურად შევიდა შენგენის/ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზოდ მოგზაურობა, ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში, მაქსიმუმ 90 დღე.

[36] დაწვრ.იხ.http://infocenter.gov.ge/euinfo-important-dates/#1

2.2 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე

სრული დასახელება აღნიშნული შეთანხმების გახლავთ-„ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ,ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის".[37]

2010 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკება, რომელსაც საფუძველი აღმოსავლეთ პარტნიორობამ ჩაუყარა, ხოლო 2011 წელს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტი დაემატა. ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ მთლიანად ჩაანაცვლა მხარეებს შორის 1996 წელს გაფორმებული სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტი- „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება".[38] 2013 წლის ივლისში დასრულდა მოლაპარაკება ასოცირების შეთანხმებაზე და იმავე წელს, ვილნიუსში, მოეწყო დოკუმენტის პარაფირების საზეიმო ცერემონია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ესაა შეთანხმება ორ თანასწორ მხარეს შორის და ის ერთნაირად სავალდებულოა საქართველოსა და ევროკავშირისთვის. სანამ უშუალოდ ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე გადავალთ, განვიხილოთ 8 გავრცელებული მცდარი შეხედულება ევროკავშირისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების ირგვლივ.

მითი №1 ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება

დავიწყოთ იმით, რომ თვით ევროკავშირს არ გააჩნია კანონმდებლობა, რომელიც მის წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ქორწინების საკითხი წესრიგდება ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით, აქედან გამომდინარეც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ჩანაწერი ქორწინების შესახებ, რომელიც მხარეებს მოუწოდებს ან ავალდებულებს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ არსებობს. ევროკავშირის

[37] მირზიაშვილი მ. ჩხიკვაძე ი. „გზამკვლევი ევროკავშირი და საქართველო“თბ.2014.გვ.24
[38] მირზიაშვილი მ. ჩხიკვაძე ი. „გზამკვლევი,ევროკავშირი და საქართველო“თბ.2014. გვ.24

წევრ 9 ქვეყანაშია დაკანონებული ერთსქესიანთა ქორწინება, ხოლო ბულგარეთმა, ლატვიამ, პოლონეთმა, უნგრეთმა და ხორვატიამ საერთოდ აკრძალეს კონსტიტუციით ასეთი ქორწინებები.

მითი №2 რუსეთის ბაზრის დაკარგვა ევროკავშირთან ასოცირებით

გავითვალისწინოთ, რომ ევროკავშირის ეკონომიკა ბევრად აღემატება რუსეთის ეკონომიკას. საქართველო და ევროკავშირი ასოცირების შესახებ შეთანხმებით ერთმანეთს უხსნიან ეკონომიკურ სივრცეებს. შეთანხმების არცერთ ნაწილში არაა პუნქტი ვაჭრობის შესახებ შეზღუდვის არა მარტო რუსეთთან, არამედ სხვა ქვეყნებთანაც. რუსეთს საკუთარი ბაზრის ჩაკეტვა შეუძლია მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებით.

მითი №3 საქართველოს ეროვნული ვალუტის დათმობა

ასოცირება არ გულისხმობს ეროვნული ვალუტის ნებისმიერი ფორმით დათმობას, ევროს ჩანაცვლება მხოლოდ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაა შესაძლებელი, თუმცა აღნიშნული პროცედურა არც ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგაა სავალდებულო. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და პოლონეთი დღემდე საკუთარ ვალუტას იყენებენ, ევროკავშირის წევრობის მიუხედავად.

მითი №4 საფრთხე შეექმნება მართლმადიდებლობას

ევროკავშირთან ასოცირება არ გულისხმობს სარწმუნოების დევნას ან რაიმე ფორმით შეზღუდვას, პირიქით, იგი გულისხმობს რელიგიური თავისუფლებისა და შემწყნარებლობის პრინციპს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავისუფლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის თვალსაზრისით ევროკავშირი არის მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი გაერთიანება.

მითი №5 თავისუფალი მიმოსვლა მიზეზი იქნება ქართველი ახალგაზრდების გადინების

მიმოსვლის გამარტივებას დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ახალგაზრდების განათლებისა და პროფესიული ზრდის ხელმისაწვდომობის კუთხით და ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავისუფალი მიმოსვლა იქნება მთავარი ხელისშემწყობი ფაქტორი ახალგაზრდების გადინების. ევროკავშირი ეხმარება ნიჭიერ სტუდენტებს, მიიღონ განათლება ევროპის უნივერსიტეტებში და მიღებული ცოდნა გამოიყენონ საკუთარ ქვეყანაში.

მითი №6 ევროკავშირთან ასოცირებით საქართველოს მოუწევს უარი თქვას საკუთარ ოკუპირებულ რეგიონებზე

ასოცირება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს განუყოფელ ნაწილებად აღიარებს და იგი ასევე გულისხმობს ოკუპირებული რეგიონების ავტომატურ მოქცევას ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მიერ მათზე კონტროლის აღდგენისთანავე.

მითი №7 ასოცირება ევროკავშირის უარია, რომ საქართველო გახდეს მომავალში მისი წევრი ქვეყანა

ასოცირებით საქართველო მხოლოდ და მხოლოდ უახლოვდება ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტანდარტებს და იგი ევროკავშირში გაწევრიანების არც დასტურია და არც უარყოფა.

მითი №8 საფრთხეები ქართული იდენტობისა და ტრადიციების მიმართ

ევროკავშირთან დაახლოება ისეთ ორ მხრივ ღირებულებებს ეფუძნება, როგორებიცაა კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, შემწყნარებლობა, კეთილდღეობა და საზოგადოების განვითარება. ევროკავშირთან დაახლოება ესაა ნიშანი ადამიანის სიცოცხლის, ჯანდაცვის, ეროვნული რესურსების გაფრთხილების, ისტორიული, მხატვრული, არქეოლოგიური ღირებულების მქონე ეროვნული საგანძურის დაცვის.

ზოგადი პრინციპები

შეთანხმების ზოგადი პრინციპია ის, რომ მხარეები თანხმდებიან, იმაზე, რომ პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებს ისე, როგორც ეს აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლაციით (1948წ), ევროპული კონვენციით (1950წ), ჰელსინკის დასკვნითი აქტით (1975წ) და პარიზის ქარტიით (1990წ), იხელმძღვანელონ აღნიშნული დოკუმენტებით შიდა და საგარეო ურთიერთობებში, შეთანხმების არსებით ელემენტს წარმოადგენს ასევე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, მხარეები ვალდებულებას იღებენ ებრძოლონ კორუფციას, ტერორიზმს, სხვადასხვა ფორმის ტრანსნაციონალურ დანაშაულს, უკანონო ნარკოტიკულ საშუალებათა და ნარკოტიკული დანაშაულის საშუალებით ფულის გათეთრება.

მხარეები ითანამშრომლებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით, მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრების მართვის სფეროებში, ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

მხარეები ითანამშრომლებენ ასევე უკანონო ნარკოტიკულ საშუალებათა წინააღმდეგ ბრძოლის კუთხითაც.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს საქართველოსთვის. აღნიშნული შეთანხმება მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ შემდეგ სპექტრებს: სურსათის უვნებლობა,კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა,ფინანსური მომსახურება და სხვა. იგი აძლევს საქართველოს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს საქონლის,მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილება.

ევროკავშირის პრინციპებთან დაახლოების მიზნით მხარეები თანამშრომლობენ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროებში.

მხარეები თანხმდებიან ეკონომიკის რეფორმაზე, რათა საქართველოში დაფუძნდეს ფინანსური და ეკონომიკური რეგულაციებით ევროკავშირის მსგავსი ქმედითი საბაზრო ეკონომიკა.

მხარეები ითანამშრომლებენ სტატისტიკის სფეროშიც, რათა საქართველოს სტატისტიკის სისტემა მოუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს.

საქართველო და ევროკავშირი ითანამშრომლებენ შემდეგ სფეროებშიც:

- ტრანსპორტი;
- ენერგეტიკა;
- გარემოს დაცვა;
- კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები;
- სამრეწველო საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა;
- კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა;
- ფინანსური მომსახურება;
- საინფორმაციო საზოგადოება;
- ტურიზმი;
- სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება;
- მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა;
- კვლევის, ტექნოლოგიების განვითარება და დემონსტრირება;
- მომხმარებელთა პოლიტიკა;
- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა;

- განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა;
- კულტურის სფეროში თანამშრომლობა;
- აუდიოვიზუალური და მედია თანამშრომლობა;
- თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში;
- თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში;
- რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე;
- სამოქალაქო თავდაცვა;
- მონაწილეობა ევროკავშირის სააგენტოებსა და პროგრამებში;

ასოცირების ხელშეკრულების მიზნების შესრულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფინანსურ დახმარების საკითხს. საქართველო ისარგებლებს, როგორც ფინანსური დახმარებით ასევე, თანამშრომლობით ევროპის საინვესტიციო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. ყოველწლიურად სამოქმედო პროგრამებში გაიწერება ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებიც მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით და აგრეთვე ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი უფლებამოსილების ფარგლებში ადგილზე ჩაატარებს შემოწმებებსა და ინსპექციებს.

2.3 საქართველოსა და ევროპის კავშირის ურთიერთობების არსი და მნიშვნელობა

დედამიწაზე არსებული ქვეყნების უმრავლესობა პატარა და სუსტია. პატარა ქვეყნებს კი საერთაშორისო პოლიტიკაში შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ისინი ხომ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტები არიან და არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა. თუ თვალს გადავავლებთ მეოცე საუკუნეს დავრწმუნდებით თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანები აღმოჩნდნენ პატარა ქვეყნები. ბევრი მათგანი იმდენად სუსტი იყო სამხედრო თუ

ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ პირველივე სერიოზული კრიზისისას უნდა განადგურებულიყვნენ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არამხოლოდ გადარჩა არამედ გამტკიცდა კიდეც. მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც გავლენა იქონია მსოფლიოზე და ასევე მათ შორის პატარა და სუსტ ქვეყნებზე ესაა, როგორც საერთაშორისო სამართლის ისე საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდილი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ ქვეყნების მდგომარეობა მკვეთრად გააუმჯობესა მე-19 საუკუნის შემდგომ დაწყებულმა ერის თვითგამორკვევის უფლებამ, ქვეყნის სუვერენული უფლებები, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა საერთაშორისო ურთიერთობებში. საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა და ძალის გამოყენების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერმა ქვეყნებმა აღიარეს სუსტი ქვეყნების კანონიერი უფლებები ჰააგის პირველ (1889 წ.) და მეორე (1907 წ.) კონფერენციებზე საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში მაინც ძლიერი ქვეყნები არიან დომინანტები. პატარა, სუსტ ქვეყნებს დღევანდელი სინამდვილეში მაინც საფრთხეს უქმნის დიდი ქვეყნები. აღიარებულია, რომ სუსტი ქვეყნისთვის რომელიმე კავშირში შესვლა გადარჩენის ყველაზე უფრო გავრცელებულ გზას წარმოადგენს. საერთაშორისო სინამდვილიდან გამომდინარე პატარა ქვეყანა იძულებულია, რომელიმე სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს შეაფაროს თავი. კავშირში შესვლის მცდელობა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერებით აიხსნება. ვინაიდან ძლიერ მოკავშირეს ეკონომიკური ხელშეწყობის უნარია აქვს საჭიროებისა და სურვილის შემთხვევაში. გაერთიანებები ხშირად უზრუნველყოფენ სუსტი ქვეყნების სამხედრო ხარჯების დაფინანსებას, სუსტი ქვეყნისთვის ეს ეკონომიკური შეღავათია. ასევე, სუსტი ქვეყანა კავშირში საკუთარი შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების შესამსუბუქებლადაც შედის. გარე და შიდა საფრთხეებს, როცა თავად ვერ აგვარებს სახელმწიფო, გაერთიანებები უზრუნველყოფენ ამ ყოველივეს. სეპარატიზმი, სამხედრო კონფლიქტი, სამოქალაქო ომი და სხვა საფრთხეების არსებობა უბიძგებს ქვეყანას, რათა მიმართოს დიდ გაერთიანებებს.

ასეთი სუსტი და პატარა სახელმწიფოა საქართველო, რომელიც დამოუკიდელობის დღიდან დღემდე აქვს დიდ და ძლიერ მეზობელ სახელმწიფოსთან

კონფლიქტი, ცდილობს დაეყრდნოს და შევიდეს ასეთ დიდ რეგიონალურ საერთაშორისო გაერთიანებებში. ერთ-ერთი კი ევროკავშირია გაერთიანება, რომელზეც ვისაუბრეთ. ამ უდიდეს რეგიონალურ საერთაშორისო გაერთიანებაში გაწევრიანება საქართველოს დაეხმარება გაზარდოს მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და თავი დააღწიოს საბჭოთა კავშირის მიერ დატოვებული მემკვიდრეობისგან, (ზემოთ ვისაუბრეთ უკვე ევროკავშირის გამოცდილებაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში) და დაამკვიდროს ქვეყანაში სტაბილური მშვიდობა და განავითაროს ეკონომიკური მდგომარეობა.

დასკვნა

ნაშრომში „ევროკავშირის როლი საქართველოს საერთაშორისო ურთერთობებში“, განხილულია საქართველოს დიდი მისწრაფება დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. დღეს, როდესაც საქართველო ასოცირების შეთანხმების წევრია ეს დიდი ნაბიჯია, რომელიც შეძლო და გადადგა ჩვენმა ქვეყანამ. შევეცადეთ ვცლად გვესაუბრა ევროკავშირის ისტორიაზე, მის განვლილ გზაზე, მიზნებზე, ფასეულობებზე, ამოცანებსა თუ განვითარების გზებზე, რათა უკეთ წარმოგვეჩინა მისი მნიშვნელობა მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში და მისი დიდი როლი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში.

პირველ თავში ვისაუბრეთ ევროკავშირის ისტორიასა და გაფართოების პოლიტიკაზე. ორი უდიდესი მსოფლიო ომის შემდგომ მისი შექმნის აუცილებლობაზე, ევროკავშირმა შეძლო და დააკავშირა დაპირისპირებული ქვეყნები ერთმანეთს პოლიტიკური თუ ეკონომიკური კუთხით. ვისაუბრეთ, აგრეთვე მის განვითარების ეტაპებზე, ინსტიტუტებზე, რეგიონულ და სამეზობლო პოლიტიკაზე. 2003 წლის მარტში გამოცემული დოკუმენტი „გაფართოებული ევროპა-მეზობლობა: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობებისთვის“ გულისხმობდა გაუნაწილოს ევროკავშირის კეთილდღეობა, სტაბილურობა და უსაფრთხოება იმ სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ ევროპის ცივილიზაციის ნაწილად ყოფნა. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ევროკავშირის გამოცდილება კი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყანაზე. საუბარია, აგრეთვე ევროკავშირის გლობალურ როლზე, მის მაშტაბებსა და იმ მოსაზრებებზე, რომელიც არის ევროკავშირის შესახებ.

მეორე თავი ეხება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის დასაწყისზე და ამ ურთიერთობის განვითარებაზე, იმ ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც დადო საქართველომ და ევროკავშირმა 1996-2015 წლებში. ასოცირების ხელშეკრულება კი წარმოადგენს იმ ყოვლისმომცველ შეთანხმებას, რომლითაც მიმდინარე ეტაპზე რეგულირდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები. იგი წარმოადგენს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შედეგს და

საქართველო ერთ-ერთია 16 პარტნიორ ქვეყანასთან ერთად. ასოცირების ხელშეკრულება 2016 წლის ივლისში შევიდა ძალაში. აღნიშნული ხელშეკრულება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, დამოუკიდებელი და უსაფრთხო სახელმწიფოდ ჩამოყალიბების კუთხით. ასოცირების ხელშეკრულების მიზნებია საქართველოში დემოკრატიის, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, ევროპული უსაფრთხოება, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე, მსოფლიოს უმსხვილესს სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა და სხვ.

შევეცადეთ გაგვექარწყლებინა მცდარი შეხედულებები ევროკავშირისა და ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, რომლებიც ეხებოდა: ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, საკუთარი ოკუპირებული რეგიონების დათმობას, საფრთხეს მართმადიდებლობასთან, ქართულ იდენტობასთან, ტრადიციებთან მიმართებაში და სხვ.

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, 2008 წლიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადმინისტრაციული საზღვრების სიახლოვეს მუშაობს. 2017 წლის მარტიდან კი საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ უვიზოდ მიმოსვლის უფლებით შენგენის ზონაში.

და ბოლოს შესაძლებელია ითქვას, რომ ევროკავშირი ესაა უდიდესი რეგიონული გაერთიანება, რომელსაც ნამდვილად შესწევს ძალა იყოს გზამკვლევი საქართველოსთვის, რომელიც დაეხმარება მას განვითარებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში ხელშეწყობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრძელიშვილი ნ. „ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკა“. თბ. 2019
2. თებიძე ჯ. „ევროპული კავშირის ინსიტუციური სამართალი“. თბ.2018 გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
3. მაკკრომიკი ჯ. „ევროკავშირის პოლიტიკა“. თბ.2016 კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა

4. მირზიაშვილი მ. ჩხიკვაძე ი.გზამკვლევი, „ევროკავშირი და საქართველო“. თბ.2014
5. პაპავა ვ. „დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა-ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო“. თბ.2018
6. რონდელი ა. „საერთაშორისო ურთიერთობები“ თბ.2003. გამომცემლობა „ნეკერი“

ინტერნეტ რესურსი:

1. http://infocenter.gov.ge/euinfo-history/#1
2. http://www.ghn.ge/news/226846-evroparlamentis-archevnebi-2019-shedegebi
3. http://infocenter.gov.ge/euinfo-structure/#1
4. http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/#1
5. https://eumm.eu/ge/
6. http://infocenter.gov.ge/euinfo-important-dates/#1
7. https://eeas.europa.eu/delegations/georgia/49071/node/49071_ka
8. https://eeas.europa.eu/delegations/georgia_mk/7580/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9

0%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98